


1917

36

ავტორი: ...
თემატიკა: 5, 8, 13-14

ფასი 30 კპ.



№ 2

წელიწადი მისამი.

ს ს ო პ რ ე ბ ა

ორკვირული სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი.

შ ი ნ ა ა რ ს ი.

1. † მიხეილ ქაიხოსროს ძე ყიფიანი.
2. † სტეფანე თევდორეს ძე ტრელაშვილი.
3. ახალი წელი, ლექსი, ი. სიხარულიძისა.
4. ძველი რეჟულიდან, დ. თურდოსპირელისა.
5. სრემლი, ი. ხუციშვილისა.
6. სევდის ეამი, ვასო ჭითავასი.
7. მოსწავლეთა ერთ ჯგუფს, ნ. ზენობნიელისა.
8. ჩანჩქერი, ჟილიატისა.
9. „გზა“, პიესა, დასასრული, სანდრო გურულისა.
10. შურის ძიების სხვერპლნი, გ. ებრაღიძისა.
11. სხვა და სხვა ამბავი.
12. ნიკო ნიკოლაძე, სამსონ ყიფიანისა.
13. ნიკო მარის ლექცია.
14. ქართული მწერლობა 1916 წ., ხომლელისა.
15. საუბარი, იაკ. ფანცხავასი.
16. თავ. პიპინია მიქელაძეს, რომანოზ ფანცხავასი.
17. „პაიჭარის“ საიუბილეო ნუმერი.
18. რკინის გზით, თავ-თეთრისა.
19. პატარა წერილები, ქუთათელისა.

15 იანვარი, 1917 წ.

ა შ თ ა ი ს ი

ტანზა „სოპა“, პუშკინის ქ., სელი იაკობ გოციელისა.

ხედა

ორკვირული საპოლიტიკო, სალიტერატურო და სამეცნიერო ჟურნალი.

† მიხ. ქაიხოსროს ძე უიფიანი.

უღმობელმა სიკვდილმა მოგვტაცა კიდევ ერთი ჩვენი ქვეყნის გულწრფელი მოპირნახულე შვილი, მიხეილ ქაიხოსროს ძე უიფიანი. იგი დეკემბრის 10, სოფ. ქვიშეთში, ხანმოკლე ავამყოფობის შემდეგ, გარდაიცვალა.

განსვენებული ყველა ქართულ საქმეს ღ დაწესებულებაში ღებულობდა მხურვალე მონაწილობას. ახალგაზღობაში განსვენებული საპედაგოგო ასპარეზზე მოღვაწობდა, ქართულ ენის მასწავლებლათ იყო გორის სამასწალებლო სემინარიაში, ცნობილ სემიონოვის დირექტორობის დროს. ამავე დროს, იგი მეთაურობდა ჩვენში „ნაროდნიკულ“ მოძრაობას, ანუ „ტეტიათა ტრფიალობას“.

ოთხმოციან წლებში განსვენებული, თვის საპოლიტიკო რწმენათა გამო, გადასახლებულ იქნა სხვებთან ერთად (გ. ზდანოვიჩი, ვანო ჯაბადარი, სტ. ჭრელაშვილი, ალ. ნანეიშვილი და სხვ.) ციმბირში.

ციმბირიდან დაბრუნებული, ერთ ხანს ქალაქის თვითმართველობაში მსახურებდა, მერე, რკინის გზაზე. ამავე დროს, ყველა ქართულ დაწესებულებებში მხურვალე მონაწილობას ღებულობდა.

მწერლობაშიაც ღებულობდა განსვენებული მონაწილობას. სხვათა შორის, მ. ყიფიანი ცნობილია, როგორც მკვლევარი ქართული გრამატიკის.

მ. ქ. გარდაიცვალა 70 წლისა.

სტავ. თავედ. ჭრელაშვილი

2 იანვარს, გათენებისას, გარდაიცვალა თფილისის საბჭოს ხმოსანი და მოღვაწე სტეფანე თვედორეს ძე ჭრელაშვილი.

ჯერ წინა დღით იგი სრულიათ კარგათ გძნობდა თავს, საბჭოს სხდომაზე იგი ერთხმათ აირჩიეს საკურორტო ყრილობაზე დასასწრებლათ. სხდომის შემდეგ, ჭრელაშვილს გაუსვირნია და ღამის თორმეტ საათზე შინ დაბრუნებულა. გზაშივე, სახლთან, თავი ცუდათ უგძენია და მეფხოვისთვის უთხოვია — გამაცილეო. ღამის ორსაათზე სტეფანე ჭრელაშვილი გარდაიცვალა, როგორც ფიქრობენ, წვეთით.

განსვენებული სტეფ. ჭრელაშვილი ღაიბადა სიღნაღის მაზრას, სოფ. მაღაროში და ღვეღლის შვილი იყო. სწავლობდა თჟილისის სემინარიაში, შემდეგ კი, თავისუფალ მსმენელათ იყო იურიდიულ ფაკულტეტზე.

განსვენებული ჩვენში ცნობილი იყო, როგორც „ტეტიათა მოტრფიალე“ და ახალგაზღობისას გაციმბირებული იყო სხვებთან ერთად. დაბრუნებისას, მონაწილობას იღებდა ქართულ ჟურნალგაზეთებში — „იმედსა“ და „ივერიაში“. შემდეგ, ქალაქის საქმეები შეისწავლა და ღიდ მცოდნეთაც ითვლებოდა ამ დარგში. ღიდხანს იყო ქალაქის მღივნათ და უკანასკნელ ხანებამღი თფილისის ქალაქის ხმოსნათ.

თფილისის ქართულ ღრამატულ საზოგადოების გამგეობამ გადაწყვიტა დაესწროს განსვენებულის დაკრძალვას. ქალაქის გამგეობამ დაადგინა თავს იღვას მისი დაკრძალვის ხარჯები, გვირგვინი უძღვნას, დაარსოს მისი სახელობის სტიპენდია და დაესწროს დაკრძალვას.

ახალი წელი.

ღროთა ბრუნვის საათმა შვილღი კვლავ მოაქანა,

გას უღ წლის ფიქრი, ზრახვა, უფსკრულში ჩაიტანა; ახალ-ახალ იმედებს

და სურვილთ ახსნა ფარდა,
 ზულმა ატოკებულმა,
 მას ძვერა შეუფარდა.
 ვრცელია სწრაფვა სულის,
 დრო, სივრცე მას არ ყოფნის,
 უნდა გაიგოს, მიხედვს.—
 აზრი ყოფნა—არ ყოფნის...
 მიქრის ჟამი, მიქრის... და
 ჩვენც მივდევთ გამალებით,
 აწმყოს ვგმობთ, და მომავალს
 ვჭრეტთ ოცნების თვალებით...
 და ვერ ვამჩნევთ, თუ როგორ
 ჩქარ-ჩქარა ცვლის წელს წელი,
 ვერ ვამჩნევთ, რო ახალიც
 იგივეა, ვით ძველი...
 რათგანც გული ბრმა არა,
 მას წარსული არ ახსოვს,
 და მომავლით ტყვეთ ქმნილი,
 ტკბილ იმედებს ქსოვს და ქსოვს.
 დროთა ბრუნვის საათის
 შეილდი კვლავ მობრუნდება,
 მომავლის იმედებში
 გული კვლავ დარწმუნდება...
 ამ გვართ ვლევთ სიცოცხლეს,
 ფიქრობთ, გვეწვევა ბედი,
 ეებს, კაცის სიცოცხლე—
 —არი მხოლოთ იმედი.

ი. სიხარულიძე.

ძველი რვეულიდან.

შენ ყვავილები გიყვარს, შენ ყვავილები
 გიყვარს გაზაფხულისა, სად შეგიგროვო, მეგობ-
 ბარო, როცა ჩემს ირგვლივ ფოთოლნი კენე-
 სენ... ფოთოლნი თრთიან შემოდგომისა..

შენ ჰანგი გიყვარს, ძვირფასო, შენ ჰანგი
 გიყვარს გარიჟრაჟისა .. ვაიმე, სად ვპოვო, სად
 ვპოვო ჰანგი ფთა ცქვიტ ცქრიალა, როს დღე
 მუიულოვანი, მომაკვდავი, დღე შემოდგომისა
 მიწყულულებს გულისა..

რა ვუყო, მეგობარო, რა ვუყო, გენაცვა
 ლე, შენ ახლა იწყებ, შენ ახლა იწყებ სიცო-
 ცხლეს ახალს, მე-კი... მე წელში მოკაკული...
 ვზივარ სადგურზე და ვუცდი... ვუცდიმატარე-

ბელს აღსასრულისას... მე, მოქანცული ამო
 ძებნით, ვზივარ აქ, სადგურზე, სამარადისო
 შავ-ბნელ სადგურზე და ველი... ველი... უდ-
 რტვინველათ ველი აღსასრულის ჟამს...

დ. თურდოსპირელი.

ც რ ე მ ლ ი.

სულ სამჯერ ჩამოცვივდა მას თვალთაგან ცრე-
 მლი:

ა.

როცა მუხლ მოღრეკილი, იგი იდგა სა-
 ტრფოს წინ, ევედრებოდა, არ ჩაექრო მისთვის
 უკანასკნელი, ოდნავ მოკიაფე ვარსკვლავი იმე-
 დისა, არ დაეხშო მისთვის კარი ბედნიერებისა
 ცით უხვათ მონიჭებული, არ გაეგმირა სიტყვით
 მკაცრით და წარბთა მოღუშვიო გული მისი
 ნახ-გძნობიარე.

... სატრფომ-კი მოიშორა იგი და უთხრა:
 „რა ექმნა, არ მსურხარ“. და იგძნო მან, რომ
 ამ სიტყვებთან ამოა იყო ყოველივე ფიცი და
 მუდარა მისი...

ბ.

როცა აღსავსეს შურით ძლიერით, ბრაზით
 დიდით და დაუშრეტელით თვის მტრისადმი,
 სურდა მოესპო იგი შხამიანი, გაენადგურებია
 ღვარძლიანი, ამოეფებრა სრულიათ ნარ-ეკლი-
 ანი, მოესრა საზიზღარი.

... მარა მკლავ გაწყდენილმა, მოღვრებუ-
 ლმა, იგძნო თვისი ძალის სისუსტე-უძლურება
 და კბილის ღრქენით დაუშვა ძირს ძარღვებ
 დაქიმული მუშტი...

გ.

როცა უკვე მოხუცმა გადახედა წარსულს,
 გაქიმულს მრავალ წელათ, თვეთ და დღეთ,
 გააყოლა თვალი გონებისა თვის განვლილ გზა-
 სა და ვერ შენიშნა ვერსად ნაპერწკლისა დვი-
 ვილი, შუქისა ბჟუტვა; გზა იგი არსად არ იყო
 ფეროვანი; პირველ ნაბიჯიდანვე მუქი, გახუნე-
 ბული, უშინაარსო; და დაენანა დრო იგი,
 ძვირფასი არარაობაში დაშრეტილი და დაღე-
 ული; მოინდომა დაბრუნება მისი, ახლათ და-
 წყება დასრულებულისა.

... მარა იგძნო მალე თვისი სისუსტე და
უძლურობა შეუძლებლობის წინაშე.

ი. ხუციშვილი.

ქ. გორი.
.....

20 ოქტომბერი.

მოსწავლეთა ერთ ჯგუფს,

ქაშა მწუხრისას—განთიადის ხართ ყვაღალები,
თქვენში მარხია უთვალაფი მარგალიტები-

ქალვით თაყვანს ვცემ, თქვენში აღძრულ დიადსა მიზანს
 საგარიყრაჟო აღმაფრენის შორეულ ხიზანს...
 გძნობის სიმებით შეკრულ, დაწნულ, უცხო თაიგულს
 და ყმაწვილოვან შევენებათა მზიურ სამკაულს...
 მე თქვენი სახით მესიზმრება თეთრი სიზმარი
 და ფთებსა ისხამს სული ჩემი დაუდგარი.
 ფიქრი ფიქრს მიდევს და მიეფრინავ, როგორც მხედარი,
 ჩემ თვალთა სივრცეს ველარ აკრთობს შავი ტაძარი.
 მე თქვენი სახით მწვავს შუადღე — ნათელ ცხოველი
 და გავკაბუჯდი და ისევ ქნარს შევახე ხელი.
 როს თეთრ ღამეში ვარსკვლავები აიშლებიან,
 თქვენსა შესახებ მე ლეგენდას მეუბნებიან,
 მეტყვიან ხოლმე: ის სანთლები არ ჩაქრებიან,
 რომელნიც მაშვრალთ კარავებში აინთებიან,
 ხან თვარე მეტყვის, თქვენსა ამბავს, თვარე ნარნრი
 და ხან მუსივა, ჩვენ ყოფნათა დამწვარ, დამდნარი...
 ხან ნათელი მზე, ცისკრისა ჟამს, ამომავალი,
 ხან მოყოყმანე დასავალთან, ის ჩამავალი.
 ხან ეკლიანი ცხოვრებისა, გზა, ბილიკები...
 ხან ატეხილი ზღვის გუგუნნი და შმაგი ხმები,
 ძან ტბა თეთრ ფთება, ლურჯ თვალება და მოკამკამე,
 ხან დღე წამების, ფთებ დაცლილი და ხან შუალამე.

ნ. ზენობნიელი.

1916 წ. 8 გიორგობისთვე.

ჩანჩქერი.

სადამოა. სასეირნოთ ქალაქ გარეთ გავე-
 ლი და, ჩემდა უნებურათ, ერთს, გველივით
 დაკლაკნილ, გძელ და ვიწრო ბილიკს გავყვივი,
 რომელიც წმინდა ძაფივითაა გაკიპული, ფრია-
 ლო კლდის შვაზე. ქვევით, შორს, თვალ უწვდნელ
 კლდის ძირში, პირზე ქაფ-მოგდებული, საშინე-
 ლი სიჩქარით მირბის, საითკენღაც, მთის ნაკა-
 დული.

აქა-იქ, წყალში, ვეებერთელა მთის ჩამო-
 ნგრეული ლოდები ყრია, თითქო ნაკადის შე-
 ჩერება მოუნდომებიათო. მარა, ველარ შეძლეს
 და ახლა აქა-იქ უმიზნოთ, გაფანტულნი, ყრი-
 ან...

ჩანჩქერი კი, თავისთვის მხიარულათ მიქრის,
 ვითომც მას არავინ არ ემტერებოდეს... ვითო-
 მც ყველა ისეთივე უზრუნველია, როგორც
 ისა...

ეჰ, ვინ მოთვლის, თუ ამ ჩანჩქერს,
 რამდენი ადამიანის ჭრილობა ჩამოუბანია...
 აბა, ვინ მეტყვის, თუ ამ ჩანჩქერს, რამდენი
 გზობა ჩამოურბენია ეს დღელები... რამდენჯერ
 შემოუვლია დედა-მიწის ზურგი... ვინ მოთ-
 ვლის... საწყალობელი ადამიანები!.. დედამი-
 წას ერთხელ რო შემოუარონ, ქვეყანას გააყრუ-
 ებენ ტრაბახობით.

ჩემი ნაკადული-კი, თავისთვის წყნარათ
 და ჩუმათ მირაკრავებს .. მიბაასობს...

ან იმას, ვინ მეტყვის, თუ ვეცხლის ცვარ-
 ნამებათ ქცეულს, ცაში, რამდენჯერ გაუნვა-
 რდნია და ღამის ქურდივით, ჩუმათ, დედამი-
 წას ზვერადა. მერე, თამაშით და ხტუნვით
 ისევ ძირს, დედამიწისკენ დაეშვებოდა...

ბედ-კრული ადამიანები!.. ჰაერში საფრე-
 ნი მანქანების გამოგონებით ყურები წაიღეს...
 და დღეს რამდენი იმტვრევს კიყერს...

ჩანჩქერი კი, ჩემი ჩანჩქერი, სრულიათაც

არ ამაყოფს თვისი სიდიადით... ის ძლიერ თავ-დაბალია... მაინც-კი, როცა სოფლის თავ-გასული გოგო ბიჭები, დაცინვით თავზე ახტებინან.

უბადრუკი აღამიანი!.. რამდენსა წვალ-ბს, რომ დედამიწის ვული გაშინჯოს, შეისწავლოს...

ჩანჩქერი-კი, ო-ო-ო, ჩანჩქერი, ის ყველ-გან დაძვრება, მან დედამიწის შვა-გულის ყო-ველი კუნჭული იცის... მერე, განა მას კითხა-ვენ რასმე?..

ღიახაც არ კითხავენ... გულზვიადი აღა-მიანები!.. აბა, რასა კითხავენ...

თვით ჩანჩქერი-კი დუმს, მირბის, მიქუხს, და თან შიპებს ქვეყნის მწარე ამბები, რომ გა-უზიაროს: ზღვაში, — ფერიებს, ცაში — ჰაერს; დედამიწის შვა-გულში — ცეცხლის კოცონს...
ვილიატი.

“გ ზ ა”*)

(დასასრული.)

ქეთო. — (გერმანეს ჩაებევვა) მისი ჰირი-მე, მისი, ჩემი გერმანე, ჩემი ძამიე.. რაფერ ხარ, ძამია, რაფერ, შენ გენაცვალე? ნენა, ნენა, რაფა გაგაბედნიერე, რომ მოი!

გერმანე. — დედა სად არი?.. საწყალობელი დედა.. რატომ არ ჩანს? ხო ცოცხალია?

ქეთო. — კი, ძამია, კი, ცოცხალია, შენი ჰირიმე, ცოცხალი, მარა შენი ჯავრით ძლივს გვიდგია სული! ახლა აგერ წვიდა წისკვილზე და ჰი მუა ამ მინუთში.. ნენა, ნენა, აწი რაღა გვიპირს, რაღამც ღმერთმა შენი თავი-კი დაგვა-ნახვა, მისი ჰირიმე, მისი, ჩემი ძამიე!

გერმანე. — საწყალობელო, ჩემო დაო.. საწყალობელო! (მწარე ღიმილით) დიახ, არა-ფერი გიპირთ, არაფერი.. რაღამც ასე ტანთე-ლი-კი დავბრუნდი სახლში.. აბა, რაღა უნდა გიპირდეთ!.. ჩქარა ყველაფერს აღვადგენ.. ყველაფერს!.. წამიყვანეთ იქ.. ცაცხვთან.. ჩემ დარგულ ცაცხვთან.. მინდა ხელი შევახო.. უკანასკნელათ მივულოერსო.. (შეყავთ ეზოში. ქეთო და თამრო ჩუმათ ტირიან.)

*) იხ. „ცხოვრება“, № 1.

თედორე. უმჯობესი იქნება, გერმანე, ჯერ სახლში მოისვენებდე, ნამგზავრი ხარ და მოვიხდება, ცაცხვს ქვეშ ჯდომას მერეც მო-ვესწრებით!

გერმანე. — (შეჩერდება) მე... მე ველარაფე-რს მოვესწრები... ველარაფერს, ჩემო ძამო.. ჩემი წუთები უკვე დათვლილია... მიმიყვანეთ ძმანებო.. მიმიყვანეთ ჩემ ცაცხვთან... დამაჯი-ნეთ იქ.. ჩემ გაკეთებულ საჯდომზე.. რომ მო-ვიგონო წარსული ბედნიერება... ჩემი ბავშობა... ჩემი სიცოცხლის გაზაფხული. (მიყავთ ცაცხე-ბისკენ. მოუახლოვდება ცაცხვს და სალამს აძ-ლევს.) სალამი, ჩემო ცაცხვო.. სალამი.. ხო მიცანი, ა? მგონი, ვერა... დიახ, ვერ მიცნობ.. აბა, ახლა მე რაღა საცნობი ვარ?.. შენ-კი გა-ზღილხარ, ჩემო ცაცხვო.. დასხვილებულხარ!.. ისე მახსოვს, თითქო გუშინ იყო, რომ ვთხრი-დი, აი, იქ მიწას და გრგავდი. (დააჯენენ. გვერდით თამრო და ქეთო მოუხხდებიან.) მაშინ ხო.. მეც სავსე ვიყავი სიცოცხლით, როგორც ეს ცაცხვი?.. მეც მიხაროდა მაშინ სიცოცხლე.. ყოფნა.. ცხოვრება... მარა ახლა.. ყველაფერი გაქრა... დიახ, ცხოვრების სუსხმა უდროოთ დააქნო ჩემი სიცოცხლის ყვავილი.. და დღეს... მარტო ჩონჩხათ ქცეული ვლაბავ სულს.. სულს, რომელსაც არავისთვის აღარა-ფერი ფასი არ აქვს.. (პაუზა.) მითხარით, ძმა-ნებო, მითხარით, როგორ არი ჩენი სოფლის საქმეები?.. ღორმუცელაძე კიდევ ფარფაშობს ძველებურათ, თუ არა?.. როგორაა კოპერა-ტივი? ხო წინ მიდის?.. რა მოხდა ჩემ შემდეგ სოფლათ?.. მითხარით, ძმანებო, მითხარით, რომ საფლავში მაინც ჩამყვეს სოფლის წარმა-ტების იმედი...

თედორე. — (ღიმილით) ფარფაშობით ველარა, ჩემო გერმანე! ფარფაშობა-კი არა ისე, დაწურა ჩვენმა კოპერატივმა იგი უბედური ისე, რომ მის მაღაზიაში დღეს თავგები ერთმანეთს ცხვირ-პირს ამტვრევენ. თვით მის მაღაზიას-კი იმხელა ბოქლომი აღდევს, იმხელა, რომ ცხრა უღელი კამეჩი ვერ დაძრავს. (ღიმიებიან.) შენ შემ-დეგ, ჩვენ სოფლათ მართლა ბევრი ცვლილი-ბა მოხდა, გერმანე ბევრი.. ჯერ ერთი — დაე-

არსეთ ქალთათვის პრაფესიონალური სკოლა, რომლის გამგეთ ელოა, მეორე მასწავლებლათ მოწვეული გვყავს ქრა-კერვის მცოდნე მასწავლებელი. ამას გარდა, დაეარსეთ შემნახველ-გამსესხებელი კასა, რომელიც ჯერ-ჯერობით, თუშცა რიგიანა ვერ არი მოწყობილი, მარა, იმედი გვაქვს, მომავალში ერთი სასარგებლო დაწესებულებათგანი შეიქნება ჩვენ სოფელში. რაც შეეხება ჩვენ კოპერატივს. შენ რო წადი, მართლა ცუდ მდგომარებაში იყო მაშინ. მარა, შემდეგ, იმდენათ გამოკეთდა, რა დღეს, მგონი, თელ ჩვენ მაზრაში არ არის უკეთესს ნიადაგზე დაყენებული კოპერატივი.. გარდა ამისა, მოვსპეთ ხალხში სხვა და სხვა ცუდი ზნე ჩვეულება, როგორც მაგ. დღეობებია, ტირილ-ქორწილში უზომო ხარჯები და სხვა.. აი, მალე მორჩები და თვით დარწმუნდები, თუ როგორ თან და თანობით იღვიძებს ჩვენი გლეხობა...

გერმანე. — (მწარე ღიმილით) ჰმ.. დამცინი, ძმაო თედორე, დამცინი?.. განა ჩემი მორჩენა შეიძლება? არა, ძმაო, არა! ეს ტყვილი იმედია... ტყვილი. (გზახე გამოჩნდება ელო. გერმანე დაინახავს) აჰა, ელიკოც მოდის. რამდენი ხანია, არ მინახავს? (ელო მიუახლოვდება) გამარჯობა, ელო!.. (ხელს გაუწვიდის.) შეხედეთ, ესეც როგორ გამოაცვლილა? სულ არ გაეც მაშინდელ ელოს, სულ!

ელა. — (ხელს ჩამოართმევს.) როგორა ხარ, ძმაო გერმანე? ნუ გეშინია ძმაო, გუგეშინია! გული გაიმავრე და, არაფერი გიშავს. სოფლის წმიდა ჰაერი, უსათუოდ, მოგიხდება და მალეც მორჩები!

გერმანე. --მალე.. დიახ, მალე მოვრჩები ავდენ ტანჯვას, წვალებას.. მოვრჩები საშიდლე-შიოთ, საუკუნოო.. ოხ, რა წვალებაა ჩემი სიცოცხლე, რა წვალება! (პაუზა). მარა ერთი რამ მახარებს... რომ აქა ვარ.. სადაც ვშობილვარ და გაზდილვარ... სადაც გამიტარება ჩემი სიყმაწვილე.. ჩემ ოჯახში.. ჩემ მშობელთან... დიახ, მიხარია, მიხარია, რომ აქა ვარ. მარა ეს სიხარულიც ადრე გაქრება, სულ ადრე. ვით სიხმარი.. ვით მოჩვენება. (პაუზა). როგორა ხარ, ელო? როგორ არიან შენი მშობლები?

ბი?.. ხომ არ მოხუცდენ?.. ეგ ძალიან მესიამოვნა, რო შესაფერი მეგობარი მოგიჩახავს...

უელაფე. — ცოტა უკეთესი-კი ვარ, მარა, არა უშავს..

გერმანე. — არა, ძმაო.. ორივე კარგები ხართ.. კარგები!.. ოხ, რა კარგია, რო მეც თქვენსავით მახარებდეს სიცოცხლე... თქვენსავით მატკობდეს ეს შვენიერი გაზაფხული.. ოხ, რა შვენიერი, წარმატატი ბუნებაა... ყველაფერი ხარობს. ყველაფერი ყვავის... ყველაფერი იცინის.. ტკბება, სიცოცხლით... მხოლოთ არ ხარობს მარტო... ჩემი გული.. არ ვიცინი მხოლოთ მე.. მარტო მე.. ველარაფერი გამა-კინებს.. დიახ, ველარაფერი.. ჩემ გულში ზამთარი... ცივი ზამთარი. (ქეთო და თამრო ჩუმათ ტირიან).

თამრო. — (ტირილის ხმით) რატომ ამბობ, გერმანე, მაგას, რატომ? ასე უიმედობა განა შეიძლება? სხვებიც კი ყოფილან ავათ, მარა კი მორჩენილან..

გერმანე. — ჰე, ჩემო კარგო... ყველაფერი გათავდა.. ყველაფერი მორჩა.. უმჯობესია შევურიგდეთ იმ აზრს, რო მე აღარ ვარსებობ, აღარ ვიმყოფები ამ ქვეყნათ. და განა ჩემი ყოფნა-ყოფნა? და განა ჩემი სიცოცხლე სიცოცხლეა? ვილასთვის, ან რილასთვის ვარ საქარო?.. არა, არა ჩემო კარგო, რაც მალე გავშორდები მას, მით უკეთესი ჩემთვისაც და შენთვისაც... მხოლოთ შენ მაპატიე. მაპატიე, ჩემო კარგო, რომ აგრე დაგტანჯე, აგრე მოგიშხამე ახალგაზდა ნორჩი სიცოცხლე. მარა, რა მექნა? ის გზა, რომელზეც მე დავადექი, სხვერპლს თხოულობდა და მისხვერპლა კიდევც.. ისხვერპლა ჩემი სახლ-კარი, ოჯახი და ჩვენი უმწიკლო სიყვარული... მართალია, ჩემ თავს არ ვნანობ... არც ნება მაქვს, ვინანო, რათგან ის დიადი მიზანი, რომელსაც ვემსახურებოდი, ბევრ სხვერპლს თხოულობს.. დიახ, ბევრს და მეც შევწირე მას ჩემი თავი... მარა, რას ვერჩოდი საწყალობელ დედაა... ამ უბედურ ჩემ დას... რას გერჩოდი შენ, რო მოგიწამლე სიცოცხლე, რას? (ქეთო ტირის). ჩემო საწყალობელო დაო... მესმის, მესმის ეგ შენი ტირილი.. ვეძნობ შენ მწუხარებას... მარა, რა

ექნა? რით შეგისუბუქო ტანჯვა, რით? შენც ხო ჩემსავით სხვერპლი ხარ ჩვენი უკულმართი ცხოვრების. (ბრაზმოსული.) ოხ, ის საძაგელი, ისა! (იქ მყოფთ) სად იყავით თქვენ, სად იყავით!... რათ არ დაახჩვეთ ის უზნეო ადამიანი, რათ?... ოხ, სად არი, სად ის გახრწნილი, ისა, რო ჩემივე ხელებით დავგლიჯო და ძაღლებს გადავუყარო! (ძალზე ახვევლებს.) მარა... რაღა შემიძლია!. მე... ახ..ლა.. ავ..თ..მყოფს.. უძღურს... რაღა.. შემიძლია! (ცუდათ შეიქნება, თავს გვერდზე გადაქინდრავს.) ვკვლები.. მანახეთ დედა.. მანახეთ.. (თედორე ხელს ტაცებს.)

თედორე - (ქეთოს) ქეთო, ლოგინი ჩქარა, ლოგინი! (ქეთო ტირილით ფაცხაში შერბის) გერმანე, კაცო, ნუ გეშინია, გული გაიმაგრე! (სხვებს) არიქა, არიქა, სახლში შევიყვანოთ! (გერმანეს საჯდომზე დააწვენენ და ფაცხაში შეყავთ. ცოტა ხნის შემდეგ, გზიდან მოისმის ნინოს ხმა: „მისი ჭირიმე, მისი, ჩემო გერმანე, ჩემი შვილი, მას დაენაცვლოს ჩემი თავი“. (გამოჩნდება ნინო. მორბის)

ნინო. — ღმერთო, შენ გმადლობ, უფალო, რომ არ მომიძულე, მე უბედური და ტერის ჯინაზე მაღირსე ჩემი გერმანეს ნახვა! (ფაცხაში შერბის. მოისმის ტირილი. გამოდის ივანე და ალაგესკენ მიდის. გზაზე გლახუნა შეხვდება და შიაჩერებს.)

გლახუნ. — რაფერაა, ივანე, საქმე. გერმანე მართლა მძიმე ავათაა, კაცო?

ივანე. — ჰე ჩემი და შენი მტრები გახდეს, ისე, იი რომაა. ერთი საათი, თუ იცოცხლა კიდევ დიდია, დიდი! აი, აი, რა ბიჭი იყო, რა ბიჭი, მაი უბედური. (ერთმანეთს შორდებიან. გლახუნ ფაცხაში შედის. გამოდის თედორე ცხვირსახოცით, ცრემლიან თვალებს იწმენდს. ისმის: „მიშველეთ, მიშველეთ“ თედორე ფაცხაში შებრუნდება. შეიქნება წვილი. კვილი. გამორბის ქეთო, აკვანთან ჩაეცემა და მწარეთ ქვითინებს. გამორბის თამრო, ერთხანს შეშლილივით დგას, შემდეგ, მიეყრდნობა სვეტს და ქვითინებს.

თამრო. — გერმანე, ჩემო სიცოცხლეც, ჩე-

მო უკანასკნელო იმედო, რათ მტოვებ მარტო, რათ? განა ეს იყო შენი სიტყვა, შენი დაპირება? განა შენ არ დამპირდი, ერთათ სიცოცხლე და ერთათ სიკვდილიო. არა, არა, ჩემო იმედის ვარსკვლავო, ნუ დამტოვებ მარტო, ნუ! ბედმა არ გვარგუნა ერთად სიცოცხლე, ყოფნა, ცხოვრება, მარა სიკვდილი ხომ ერთად შეგვიძლია? თუ აქ არა, იქ ხო შეგვძლება ქე მაინც დავტყბეთ ერთად ყოფნით? მაშ, მეც შენთან, ჩემო სიცოცხლეც, მეც შენთან მოვდივარ! (ქეთოს) მშვიდობით, ქეთო, მშვიდობით, ჩემო საყვარელო დაიკო, მშვიდობით! (გადაეხვევა და კოცნის) მე მეტს ველარ მნახავ, ქეთო, ველარ! (გარბის მარჯვენით.)

ქეთო. — თამრო, თამრო, სად მიდიხარ, დაო, სადა? გულამოსკენით ტირის. გამოდის პეტრე.)

პეტრე. — (ჩოხის კალთით ცრემლებს იწმენდს, ალაგესკენ მიდის) ვაი, საწყალობელი გერმანე, რა ვაშკაცი იყავი, შენ უბედურო, რა კეთილი და პატიოსანი! (გზაზე გამოჩნდება გოჯასპირ. ალაგესთან ერთმანეთს შეხვდებიან.)

გოჯასპირ. — (თავის ქნევით.) ჰე, ჰე, ჰე, უბედურო დედამისო, უბედურო! რაღა ეშველება საწყალობელს? თლად დვილუპა, თლად, აი ოჯახი! ასე მალე მაინც რაფერ მოკვდა, პეტრეც, იი საწყალობელი? სხოგან ვიყავი და სახლში რო შევედი, მაშინ მოხრეს, გერმანე ურმით გამოარონიესო. მართლა ძალიან ავათ იყო, იი უბედური, ლაპარაკობდა ქემანც რამეს?

პეტრე. — რაცხას ქი ამბობდა, გოჯასპირ, მარა, ვაი იმისანა ლაპარაკს, ნეტაი, გეყურებია აი, იმ ცაცხეს რო დუუწყო ლაპარაკი, ასე გეგონებოდა დედამის ელაპარაკებო. გული აგიტირდებოდა სწორეთ, გული! (გოჯასპირ ეზოში შედის) ჰე, ბიჭი მოკვდა, მარა რა ბიჭი! ანგელოზი იყო კაცათ, ანგელიზი!

გოჯასპირ. — ბიჭი.. ჰო, ბიჭი კაი იყო... მარა.. ჰე, სიკვდილს დოუდგა თვალები! (პეტრეს) ჩემი ციცი იქანეა, პეტრე?

პეტრე. — ახლაკი იყო იქინე და, არ ვიცო, მგონი, სახლში წამევიდა. (მარჯვენით

ისმის ყვირილი: უშველეთ, უშველეთ! კდებზე გადავარდა, კდებზე!) ყუროფ გოჯაწპირ, ვილაც კლდებზე გადავარდნილა! არიქა, ვუშველოთ! (გარბიან; ცოტა ხნის შემდეგ, მოისმის გოჯასპირის ყვირილი!) შვილო, თამრო, შვილო! (ალაგესან გამოატარებენ თამროს გვამს. გოჯასპირი თავში ჯოხს ირტყამს და ყვირის) ვაიმე, შვილო, ვაიმე! რეიზა დამღუპე, თამრო, რეიზა? უბედურო გოჯასპირავ, უბედურო!!! (ფაცხიდან გამორბის თედორე.)

თედორე. —(გაკვირვებული) რა იყო, რა მოხდა? (გზაზე დაინახავს პეტრეს) პეტრე, რა ამბავია, კაცო?

პეტრე. —რა ამბავია და უბედურება! თამრო კლდებზე გადავარდნილა და თავი მოუკლავს.

თედორე. —რას ამბობ, კაცო, რას? (შეწუხებული) ოხ, კიდევ უბედურება, კიდევ! (ფაცხაში შერბის. ქეთო მწარეთ ქვითინებს. ფაცხიდან ისმის ნინოს მოთქმა. შორიდან ისმის გოჯასპირის ყვირილი, რომელსაც თანდათან ემატება ქალების წივილ-კივილი.)

სანდრო გურული.

(შარდა).

მურის ძიების სხვერპლნი*)

X.

აქ არ შევუდგები დაწვრილებით მოწმეების ჩვენების ანუხსვას, რო პატივსცემულ მკითხველს თავი არ მოვაბუზრო გძელი, არა საინტერესო ამბავით. შეენიშნავ მხოლოდ, რომ ყველა მოწმეები მსაჯულის ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდნენ. მსაჯულის უწმაწურმა სიტყვებმა და ბუნდოვანმა კითხვებმა ისე დააბნია ისინი, რომ ხშირათ ერთი მეორის საწინააღმდეგო სიტყვებს ისროდნენ. თვით ელისაბედის მოწმეებსაცაერთია ჩვენება და ელსაბედის სასარგებლო ვერაფერი თქვეს. შუშანიკამ, რომელზეც ელისაბედი დიდ იმედებს ამყარებდა, ასე დააბოლოვა თვისი ჩვენება: „ელისაბედმა რვა, ორიკვირის გამოჩეკილი შამ-შავი იხვის ჭუჭულები მომიყიდა. იხვე-

ბი რო ყავდა მას, კი ვიცი, მარა ჭუჭულები არ მინახავს მისას. არც ის ვიცი, ივლიტას ყავდა იხვის ჭუჭუბი, თუარა. პავლიამ ხო ისეთი ჩვენება მიცა, რომელმაც ყველა გააცვიფრა.

—მე, ბატონო,—გააცხადა მან. —ჩემი თვალთ ვნახე, ელისაბედი იხვისჭუჭუებს რო მირეყავდა სახლში. ყანაში მივდიოდი დილით ადრე და სწორეთ იმ დროს, როდესაც მე გზაზე გამევიარე, ელისაბედმა ღელიდან რვა შავ-შავი იხვის ჭუჭუი ამორეკა და თავის ეზოში ჩადენა; მე შეგონა მისი იყო...

—უპ.. რა სიცრუე შეიგონა ამ პირშავმა!.. —მოისმა აქა-იქ უკმაყოფილოთა ჩუმი ამოძახილი.

ელისაბედი ხო სულ გააწიწმატა პავლიას ჩვენებამ.

—უი, უი, უი!.. ამას რას ყურობს ჩემი დასაფსები ყურები!.. იმდონი შენი შვილების ბედნიერებას მიესწარი, პავლიავ, რამდენიც...

—Молчать, ნუ ყაყანობ!.. —მრისხანეთ შეაწყვეტია მას მსაჯულმა.

მოწმეების დაკითხვა გათავდა. უკანასკნელი სიტყვა ელისაბედს მიცეს, რომელმაც გულწრფელათ ერთხელ კიდევ დაადასტურა თვისი სიმართლე და უმწიკლობა ამ საქმეში. ილაპარაკა კირილე „ატუკანტმაც“, მარა რას გააწყობდა მისი ენა წყლიანობა იქ, საცა აუარებელი ფაქტები და მოსამართლის თანაგძნობა მისი კლიენტის საწინააღმდეგოთ ლაპარაკობდა...

ივლიტას რვა შავ-შავი, ორი კვირის გამოჩეკილი იხვ-ჭუჭუბი დაეკარგა, რომელიც ნათლადაც იქნა მოწმეებისგან ახსნილი. ელისაბედმა-კი სწორეთ ასეთივე ჭუჭუბი გაყიდა, რომელიც ამგვართვე იქნა დამოწმებული. ამ ფაქტების წინააღმდეგ, ვერაფერი ითქვა და საპართალი აშკარათ ივლიტასკენ გადიხარა.

გამოცხადდა სხდომის ათი წუთით შეწყვეტა. მსაჯული სასამართლოს კათეთრიდან გადმოვიდა, ჯიბიდან ვეცხლის, მონოგრაშებით გადაჭრელებული პოლსიგარი ამოიღო და პაპიროზი გააბოლა.

ხალხმა თავისუფლება იგძნო. ზოგი დარბაზიდან გავიდა, ზოგიც-კი ჯგუფ-ჯგუფათ დაიყო და გაიმართა დაუსრულებელი სჯა-კამათი.

*) იხ. „ცხროვრება“, № 15, 1916 წ.

გაწიწმატებული ელისაბედი-კი პავლიას მივარდა და ლანძღვა-ვინება დაუწყო.

—როის იყო, როის, შენ უნამუსოვ, მე ივლიტაის კვატებს მივდენიდი. აბა, ერთი მითხარი, შენ სვინდისიდან გარეცხილო, შენ... ნუ გცხვენია, პირდაპირ შემომხედე თვალეში.

—როის და იმ დღეს... მაშინ. რას ჩამციებიხარ, რომ არვიცი... მე შენთან აფერი საქმე არ მაქ... წადი—გამშორდი...

—რაფა არ გაქ საქმე, შენ საძაგელო... გაგშორდე-კი არა, წვერებს დაგაგლეჯ, ცხვირპირს დაგიკორტნი... ყელი გამომჭარი და გაგშორდე!?. რაფერ მეიგონე ამისანაი სიტრუე?!. რა პირში ამოგივიდა აგი.

—გამშორდი-მეთქი, გელაპარაკები!.. მეიპარე და ახლა გცხვენია!..

—რაფერ მევიპარე... ბიჭო... როს მევიპარე... ისე შენ მოგპარა თავარ ანგელოზმა... შექურდალიავ... შენ უსინდისოვ...

—პავლია! სირცხვილია ამდენი სიტრუე! კაცის თუ არ გეშინია და არ გცხვენია, ღმერთის გეშინოდეს! იგი არ შეგარჩენს ამდენ უტიფრობას!..—ჩაერია მათ ლაპარაკში ერთი ხანში შესული გლეხი, რომელიც იქვე იყო გაჩერებული და ყურს უგდებდა მათ ლაპარაკს.

—შენი საქმე არაა იგი!—მკვახეთ შეუტია მას პავლიამ და გარეთ გავიდა.

ელისაბედი-კი ისე გააბრაზა პავლიას სიტყვებმა, რო ნერვები აეშალა და თელი ტანი უცახცახებდა, თითქოს ავმა ზნემ მოუარაო. სკამზე ჩამოჯდა და მწარეთ აქვითინდა იგი.

კოტა ხანი და ზარის ხმაც მოისმა. მოსამართლე თავის ადგილზე იჯდა და დიდმნიშვნელოვანათ თვალებს აბრიალებდა. დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა მოუთმენლათ მოედლოდებოდა განაჩენს.

მოსამართლემ წყნარა ჩაახველა, თვალეზე სათვალეები გაისწორა და დაბალი ხმით ლაპარაკი დაიწყო.

მან მოკლეთ, მარა მკაფიოთ გაუკეთა „რეზიუმე“ თელს „პრაცეს“, ელისაბედის დანაშაულობა ექვს გარეშე იცნო, მოიტანა ძირითადი კანონებიდან სხვა და სხვა პუნქტები, რომლის

ძალით იხე-ჭუკების ქურდობაში ბრალდებულ ელისაბედ ბარბაქაძის ქალს მიესაჯა სამი თვის ციხე და მოპირდაპირისთვის ხარჯების ანაზღაურება.

სამარისებური სიჩუმე გამეფდა და ამ სიჩუმეში მკაფიოთ გაისმა ელისაბედის გულშემზარავი ღრიალი...

მისი გული სუსტი დარჩა, გამკლავებოდა ამოდენ მღელვარებას და იატაკზე უგძნობლათ გაიშხლართა... გამარჯვებულმა ივლიტამ-კი წელის ნაბიჯით გაუარა გძნობა და კარგულ ელისაბედს, რომელსაც გარს ხალხი ეხვევოდა და ასულიერებდა, კმაყოფილი ღიმილით გადახედა მას, თითქო მისმა სიხარულით გაბწყინებულმა თვალეებმა უთხრეს მას: კამეჩის მოქიდავე ხარს, რქები არ შერჩებოა და დარბაზიდან გავიდა.

უკვე შვადლის ორი საათი შესრულებულიყო. სასამართლოს სხდომა დაიხურა. ცოცხალ მკვლარი ელისაბედი-კი ეტლში ჩასვეს და სახლში წაიყვანეს.

საყავედან მოისმოდა უდარდელი ლაპარაკი და სიცილ-კისკისი. აქ ახალგაზდა ინჟინერი ვახტანგი ტურფა ასულებში ჩამჯდარიყო და სასაცილო „ანექტოტს“ უყვებოდა მათ.

გ. ებრალიძე.

(შემდეგი იქნება.)

სხვა და სხვა ამბავი.

მოკავშირეთა პასუხი ვილსონის ნოტაზე ასეთია. თავდაპირველათ ანიშნულია, რომ მოკავშირეთ კარგათ ესმის ის მაღალი გძნობა, რომლითაც გამკვალულია ამერიკული ნოტა და სავსებით თანაუგძნობს ერთა ლიგის დაარსების პროექტს მშვიდობიანობასა და სამართლიანობის დასამყარებლათ. მარა, სანამ მომავალზე ვილაპარაკებთ, საჭიროა ახლანდელი კონფლიქტის შესაფერი დაბოლოვება. მოკავშირეები ანგარიშს უწევენ იმ ზარალსა და ტანჯვა-წვალებას, რომელიც ომმა მიაცენა, როგორც მეომარ, ისე ნეიტრალურ ქვეყნებს, მწუხარებას გამოთქვამენ ამის გამო. მარა

პასუხისმგებლათ თავს არა ცნობენ, ვინაიდან სრულიათაც არ სურდათ ომი და არც გამოუწვევიათ ის. საჭიროთ ცნობენ მეგობრულათ, მარა კატეგორულათ უარყოფის გათანაღწორება ორივე მებძოლი ბანაკისა, რომელსაც ადგილი აქვს ამერიკის ნოტაში. ომის გამოცხადებით, ბელგეთისა და ლიუქსემბურგის ნეიტრალიტეტის დარღვევით, აგრეთვე ომის წარმოებით გერმანეთმა დაამტკიცა თავისი მუდმივი ზიზლი კაცობრიული პრინციპებისა და წვრილ ერთა უფლებების მიმართ. რაც შეეხება ზავის პირობებს, ყველამ იცის, რა მიზანს ისახავენ მოკავშირენი. ომის მიზანს მოკავშირენი დაწვრილებით აცნობებენ მოლაპარაკების დროს. მარა განათლებულმა ქვეყანამ იცის, რომ ომის მიზანს შეადგენს უპირველესათ, ბელგეთის, სერბეთის და ჩერნოგორიის აღდგენა, სამართლიანი ანაზღაურება ამ ქვეყნების ზარალის, დაცლა საფრანგეთის, რუსეთის და რუმინეთის დაპყრობილი ტერიტორიისა, ზარალის სამართლიანი ანაზღაურებით, ევროპის რეორგანიზაცია, უზრუნველყოფილი მკვიდრი წესებით, რომელიც დაფუძნებული იქნება ეროვნებათა პატივისცემაზე, აგრეთვე მათი სრული ხელმძღვანელობისა და ეკანომიური გავითარების თავისუფლების აღსარებაზე, როგორც დიდ, ის პატარა ერებისთვის. აგრეთვე ომის მიზანს შეადგენს დაბრუნება იმ პროვინციებისა, ან ტერიტორიისა, რომელიც მოკავშირეთ ძალით წაართვეს, წინააღმდეგ ხალხის ნება სურვილისა, გათავისუფლება უცხოელთა ბატონობისგან იტალიელთა, რუმინელთა, ჩეხელთა და სლოვაკებისა, გათავისუფლება იმ ერთა, რომლებიც იმყოფებიან სისხლის მწოველ ოსმალთა უღელს ქვეშ, ოსმალეთის იმპერიის ევროპიდან განდევნა. რუსეთის იმპერატორის განზრახვა პოლონეთის მიმართ ნათლად ნაჩვენებია ჯარისა და ფლოტისადმი მიმართულ მოწოდებაში. მოკავშირენი ელტვიან პრუსიის მილიტარიზმის დამხობას, მარა მათ მიზანს არ შეადგენდა გერმანელ ერთა განადგურება და მათი პოლიტიკური მოსპობა. მოკავშირენი არ შეუშინდებიან არავითარ სხვერპლს, როგამრჯეებით დააბოლოვონ ეს შეტაკება, რომელზეც დამოკიდებულია

არა მხოლოდ კეთილდღეობა, არამედ თვით ცვილიზაციის მომავალიცა.

კოპენჰაგენიდან „ბირჟ. ვედ.“ ატყობიებენ: რათვანც ოთხთა შეთანხმებამ თავის ნოტაში გადაჭრით უარყო გერმანეთის წინადადება ახლა გერმანეთმა და ავსტრიამ საპასუხო ნოტა დაუგზანეს ნეიტრალურ სახელმწიფოებს. ბერლინიდან იუწყებიან, რომ გერმანეთი თავის ნოტაში ანიშნავს ინგლისის პოლიტიკას, რომელიც გერმანეთის გამარტოებისკენ არი მიმართული საფრანგეთის მხრით, რევანშის სურვილს და რუსეთის-სტამბოლის დაპყრობის ზრახვას. გერმანეთი კვლავ იმეორებს, რომ ომი რუსეთის უღროდ მობილიზაციამ გამოიწვია. გერმანეთმა იარაღს მიმართა თავის დაცვისთვის და არსებობისთვის. მაშინ, როდესაც მოპირდაპირეთ განზრახვა აქვთ წაართვან გერმანეთს აღზას-ლორენი და აღმოსავლეთ პრუსიის ოლქები, შესუსტონ და დაამცირონ გერმანეთი, გაიყონ ოსმალეთი და დაანაწილონ ბულღარეთი. მოპირდაპირემ არ იცოდა გერმანეთის საზავო პირობები და არ დაუპირისპირა თავის წინადადება. მან პირდაპირ გააცხადა, ზავი შეუძლებელია. გერმანეთი მიუთითებს ირლანდიაზე და ჩდილოეთ აფრიკაზე და აგრეთვე ტრანსვალზე. გერმანეთი ანიშნავს, რომ რუსეთი ჩაგრავს „ინოროდებს“ და, დასასრულ, იგონებს საბერძნეთს. გერმანეთის ნოტა პირდაპირ მტარვალობათ თვლის იმას, თუ როგორც ეპყრობიან ტყვეებს რუსეთში და ჩდილოეთ აფრიკაში და ბრალსა დებს ბელგეთს, არ დაიცვა ნეიტრალიტეტით ნაკისრი ვალდებულება. გერმანეთმა ორჯელ წინადადება მიცა ბელგეთს, ოლონდ ჩემი ჯარი გაუშვი შენი ტერიტორიით და ზარალსაც გიზღავ და შენ მთლიანობას და დამოუკიდებლობას დავიცაო. ამიტომ ბელგეთის უბედურობა ოთხთა შეთანხმების ბრალიაო, რათვანც მან ჩავდო ბელგეთი ასეთ მდგომარეობაში. დასასრულ, გერმანეთი მტკიცე იმედს გამოთქვამს სრულ გამარჯვებისას.

პროტოპოპოვმა ყურათღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ამ უკანასკნელ ხანში, საქალ-

აქო და საერობო დაწესებულებებმა სახელმწიფო ხასიათის საკითხების შესახებ წმინდა პოლიტიკური რეზოლიუციების დადგენა დაიწყესო. ამაში საშინაო საქმეთა მინისტრი უფლებების აღმატებას ხედავს და ითხოვს, რომ ამას ყურათღება მიექცეს.

შავი ქვის საბჭოს მიერ არჩეული დეპუტაცია პეტროგრადში დაიმედეს, რომ სამინისტროს პირველი უარყოფითი დადგენილება, საბჭოს მიერ შავქვიანი ადგილების შექმნის შესახებ, შეცვლილი იქნება, საბჭოს სასარგებლოთ.

პარიზიდან „პირჟ. ვედ.“-ის ატყობიებენ: ბულღარეთის პრემიერ რადოსლავოვს უსაუბრია ამერიკულ გაზეთების კორესპონდენტ კურტავიგანდთან და უთქვამს: შავი აღმოსავლეთიდან მოგვევლინება და არა დასავლეთიდან. გინდაც რომ იგი მომწიფდეს და გახორციელდეს დასავლეთით, მაინც მისი დასაწყისი აღმოსავლეთიდან იქნება. პრეზიდენტ ვილსონს შეცთომა მოუვიდა, რომ მან თვისი წინადადებით მხოლოდ დასავლეთს მიმართა და უყურათღებოდ დატოვა აღმოსავლეთი, საიდანც ომი ნამდვილათ დაიწყო. კარგი იქნებოდა, ვილსონს გაეგო, თუ რას ფიქრობს მის წინადადებაზე პეტროგრადი, სოფია და სტამბული. რუსეთი ვერაოდეს ვერ შიადწევს თავის მიზანს და ვერც დაეპატრონება სტამბულს და დარდანელს. ეს მიზანი არაოდეს არ ყოფილა ისე შორს, როგორც ამ ჟამად. რუმინეთის გამოსვლამ ვერაფერი შემატა ოთხთა შეთანხმებას. სარაილის განზრახვა გაქარწყლდა. ოთხთა შეთანხმების გეგმა საბერძნეთში ვერ გახორციელდა, რათგანც მეფე კონსტანტინე გულწრფელათ თანაგვიგნობს ჩვენ და ცენტრალურ სახელმწიფოთ. კორესპონდენტს უკითხავს, რა გავლენა შეუძლია მოახდინოს ბალკანეთის საკითხმა შავის მოლაპარაკებაზეო. რადოსლავოვს უთქვამს: ბალკანეთის საკითხის გადაწყვეტას დიპლომატია, თითქმის საუკუნოებიო ცთილობდა და ახლა-კი ეს საკითხი ერთი წლის განმავლობაში გადაწყდა. რა საზღვრებში მოთავსდება და რა ბედი მოვლის მომავალში სერბეთს, ახლა ვერ ვიტყვი. მხოლოდ ერთი რამე-

კი ცხადია, რომ მაკედონია არაოდეს სერბეთისა აღარ იქნება და სწორეთ მაკედონია იყო იგივე ბალკანეთის საკითხი. რუსეთი დარდანელს და სტამბოლს ვერ ნახავს და ეს თვითონაც კარგათ ესმის. და, რათგანც ეს ორი საკითხი გადაწყვეტილათ უნდა ჩაითვალოს, ამიტომ ვამბობ, რომ შავი უფრო ადვილათ აღმოსავლეთით არი მოსალოდნელი. ჩვენ და ოსმალებს შეგვიძლია კიდევ ორ წელს ვიომოთ, მიუხედავთ იმისა, რომ გვიკირს. იმედი გვაქვს, რომ მშვიდობიანობის მოყვარე ამერიკელები განაგძობენ შავისთვის მეცადინობას, მხოლოდ ვიმეორებ, უსათუოდ, აღმოსავლეთში.

ვარშავის ერთ-ერთ დიდ მიტინგზე, 8 დეკემბერს, გალიციის სოციალისტთა ბელადს და ვენის პოლონელთა კოლოს თავმჯდომარეს,

იგნატი დაშინსკის შემდეგი სიტყვა უთქვამს: პოლონელები მზათ უნდა იყვენ იბძოლონ და მოკვდენ არა მარტო თავის საქმისთვის. ეს ყველას კარგათ უნდა ესმოდეს. ცენტრალური იმპერიები, თუ ჩვენ ძალას საჭიროებენ, იმათ უპირველეს ყოველისა, ჩვენ უფლებას პატივისცემით უნდა მოვუპყრან. ყველა პოლონელი ერთი აზრისაა იმ საკითხში, რომ თავისუფალი პოლონეთი ჩვენ არ მოგვეძღვნება ისე, როგორც საჩუქარი, ის უნდა მოპოვებული იქნას პოლონელთა ბძოლით. ჩვენ დიდს არა ვთხოვლობთ. ვთხოვლობთ, რომ ჩვენი უფლება იცნონ: ჩვენ არ შეგვიძლია დავეთანხმოთ მას, ვინც უნდა იყვეს, რომ უკანტროლოთ განავგოს ჩვენი სამშობლოს ბედი. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ გერმანეთის ჯარის კაცი მოგვიგებს, რომ იარაღის ხელის მოსაკიდებლათ მოწოდება გამამხნეველათ მოქმედობს მხოლოდ მაშინ, თუ ის წრფელი გულითაა აღიარებული. და, თუ ის ცივი ბძანებაა, გაყინულ წერტილათ დარჩება.

კოპენჰაგენიდან იტყობინებიან: ვარშავში დაარსდა პოლონეთის ხაზინა, რომელსაც უფლება აქვს მოკრას პოლონური ფული ქალადისა, თუ ვეცხლისა. რუსულ ვეცხლის მანათიანის ნაცვლათ, მოკრიან პოლონურ მარკას.

პოლონეთის სამეფოს საბჭოს წევრებათ ავსტრიიდან 10 კაცი იქნა არჩეული. ხოლო რუსეთის დაპყრობილ გუბერნიათგან 15 კაცი. ამ წარმომადგენელთ გერმანეთისა და ავსტრიის მართველები დიდის ამბით დაუხვდენ. პოლონეთის სამეფოს დებულებანი უკვე შემუშავებულია. პირველათ განიხილვენ პროექტს იმის შესახებ, თუ როგორი ორგანიზაციები უნდა მოეწყოს პოლონეთის ჯარის შესაკრებათ.

ვამინგტონში ხალხი დარწმუნებულია, ვილისონი ხელახლათ შეეცდება და გერმანეთს ზავის პირობებს პირდაპირ ათქმევებსო.

შვეიცარიასა და გერმანეთის საზღვარ-

ზე—გერმანელები ბაზელის და კოსტანცის შუა დიდ მანევრებს ახდენენო.

რუმინეთის სახელმწიფო დაწესებულებანი იასიდან ხერსონში გადმოაქვთ.

შ. რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ სრული თარგმანი რუსულ ენაზე კ. ბალმონტის ამ მოკლე ხანში გამოვა გასაყიდათ.

რედაქციამ მიიღო თფილისში საახაწლოთ ბ-ნი ი. გრიშაშვილის რედაქტორობით დასტამბული სალიტერატურო „ლილა“, სადაც მოთავსებულია ჩვენი ახალგაზდა მწერლების მხატვრული ნაწერები.

კრებული ძალიან სუფთად და ლამაზათაა დასტამბული და ღირს 50 კაპ.

ნიკო ნიკოლაძე.

4-ს იანვარს, ქუთაისის გუბერნიის თავად აზნაურობის არა ჩვეულებრივ კრებაზე დაადგინეს, რომ იშვამდგომლონ, სადაც ჯერ არს, რომ დიდათ ნიჭიერ პუბლიცისტს და ფრიად დამსახურებულ საზოგადო მოღვაწეს, ნიკო ნიკოლაძეს ეპატივოს, გაუგებრობის გამო, უსამართლოთ მასზე თავმოხვეული სასჯელი.

ეს გარდაწყვეტილება კრების მიერ ერთხმათ, დიდი სიამოვნებით და უკამათოდაც იქნა მიღებული.

გუშინ ქუთაისის ქალაქის საბჭოსაც ქონებია. ამ საგანზე ბჭობა და, როგორც ამბობენ, საბჭოს ისეთივე გარდაწყვეტილება მიუღია, როგორიც თავდაზნაურობას.

თფილისის გუბერნიის სათავადაზნაურო საკრებულოც ასეთსავე დადგენილებას აპირებს და ფოთის ქალაქის საბჭომ ხო ყველას დაასწრო და ეგ სწორეთ ასეც უნდა ყოფილიყო. ასევე მოიქცევიან, მე მგონი საქართველოს სხვა ქალაქებიც, გარდა მისი დედა ქალაქის, თფილისისა, სადაც ნაციათა შორის შუღლისა და ურთიერთობის ბურჟუაზიაა გაფხვებული.

ამის გამო, საჭიროთ მიმანია ძლიერ მოკლეთ გავიხსენოთ ნიკო ნიკოლაძის ღვაწლი.

ნიკო ნიკოლაძე დღიდან მისი მოღვაწობის დაწყებისა, თვის საყვარელსა და შვენიერ სამშობლოს გულწრფელათ, თავდადებულათ და განუწყვეტლათ ემსახურებოდა და ემსახურობდა დღესაც.

იგი დარაჯათ უდგა ჩვენი პოლიტიკური, სოციალური და საზოგადოებრივი ცხოვრების ღირსშესანიშნავ და წვრილმან მოვლენებს, არკვევდა მათ, დასაწუნს იწუნებდა, მოსაწონს იწონებდა და, ისე აფასებდა ერთსაც და მეორესაც, რომ მკითხველი მისი სწორი ლოდიკით და საქმის ცოდნით, თითქო მოჯადოებული ხდებოდა; და ასეთი პუბლიცისტის მკვეთრ კალამს სალი და სასარგებლო შეხედულება შექონდა ქართველთა შეგნებაში.

სამოციან წლებში, როცა ილია ჭავჭავაძის და აკაკი წერეთლის ჯგუფი გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, ნიკო ნიკოლაძემ, როგორც დიდი ერუდიციის პატრონმა, კრიტიკას მოკიდა ხელი და ხსენებული ჯგუფის მეთაურთა შესანიშნავ ნაწარმოებთა ღირსება და მნიშვნელობა მკითხველ საზოგადოებას თვალწინ გადაუშალა, ისეთი დაკვირვებით და ისე ნიჭიერათ, რომ დღესაც ხშირათ ჩვენი პერიოდული პრესა მისს კრიტიკულ განხილვას იმოწმებს ხოლმე, როცა ჩვენი კორფეების ნაწარმოებზე დაიწყებს საუბარს.*)

*) დიდათ პატივცემულ ავტორს უნდა მოვავთნო ერთი დიადი გარემოება, რომელსაც ადგილი ქონდა ქართულ მწერლობაში.

ზარზანწინ, ეურნალ „განთიადში“ (№ 8—1915 წ.) თვით ჩვენი სახელოვანი პუბლიცისტის წერილის გამოაშკარავებით (ეს წერილი პუბლიცისტის გამოიწვია ჩემმა კრიტიკამ აკაკიზე) დამტკიცდა ერთი ფაქტი.

როცა ილიამ „საქართველოს მოამბის“ დახურვის შემდეგ, თლად მიატოვა ქართული მწერლობა და თფილისიც, რალაც სასწაულით საზღვარგარეთიდან, ჩვენ ქვეყანას მოველინა ნიკო ნიკოლაძე. იმისი, მხოლოთ და მარტო იმისი მეოხებით, მკვდრეთით აღსდგა ქართული მწერლობა. ნიკომ ქუთაისიდან გადმოიყვანა აკაკი, სერგი მესხი და გიორგი წერეთელთან ერთად თავი მოუყარა მაშინდელ ახალ-თაობას (ილიასაც ამუო

მერე, როცა ჩვენმა საზოგადოებრივმა და პოლიტიკურმა გარემოებამ მოითხოვა, რომ ჩვენი ავი და კარგი, ჩვენი დუხჭირი ცხოვრების მიზეზები მართველ წრეებს, რუსთა ინტელიგენციის, რუსული პრესის ყურის მგდებელსაც ცოდნოდა, ჰნმა ნიკოლაძემ რუსულათ დაიწყო წერა. აქ სამოღვაწოთ გაყვა მას რამდენიმე ნიჭიერი ქართველი ინტელიგენტიც.

უნდა შევნიშნოთ, რომ რუსული გაზეთების გამოცემა მან ჩვენი მოწინავე ინტელიგენციის მეთაურებთან შეთანხმებით და დასტურით დაიწყო. ყველა იმ აზრის იყო, რომ ქართული პრესა მარტო ქართულ საზოგადოებაში, თუ შეიტანდა ჩვენი ცხოვრების შესახებ ფხიზელ აზრებს. მართველი წრეებისა და რუსულათ მკითხველისთვის ყოველივე ეგ დაფარული იყო. ცენზორი ჩინოვნიკის მეტი მას არც და ვერც გაეცნობოდა.

ამიტომ ნიკო ნიკოლაძე ჩვეულებრივი დიდი ენერგიით შეუდგა ამ მძიმე საქმეს. მაშინ რუსულათ წერა ძნელი საქმე იყო. ახლა რომ მინისტრებზე იწერება, იმისს მსგავსს რასმე უბრალო ბოქაულზე, ვინ გაგაბედვინებდა: ცენზორი გაორკეცებული ექვით და სიფთხილით ექცეოდა ნიკოლაძის გაზეთის ყოველ სტრიქონს, რათგანც ყოველი აქ გამომეღაფნებული აზრი და შეხედულება ადრე, თუ გვიან მართებლობის ყურამდი მიაწევდა.

ამიტომაც, ბ. ნიკო ნიკოლაძე ცენზუ-

შაგებდა დუშეთიდან), რომელიც მე კრიტიკულათ უკვე განვიხილე და ვუწოდე პირველათ ქართულ მწერლობაში „სამოციან წლების ღიბერალები“ (იხ. „კვალი“, 1893 წ.)

ილიას ნიკომ ჩამოიყვანა თფილისში და შინი დაჯერებით და გამხნეებით ამ ძნელათ ამყოლებლმა ადამიანმა სულთლად მიატოვა სახელმწიფო საშსახური და ხელმეორეთ შიება იგი სალიტერატურო და საზოგადოებრივი მოღვაწეობის უღელში.

ეს ისეთი დიადი ფაქტია ჩვენი ახალი ვითარების ისტორიაში რომელის ბადალი მე სხვა არა ვიცი საქართველოში.

აი, ეს დიდი ფაქტი, რომელსაც, როგორც ვიპით, შესა ნიშნავი შედეგებიც მოყვა, მუდამ უნდა ახსოვდეს ქართველობას.

სამღელი.

რთან ბძოლას ძლიერ დიდ ღროს ანდომებდა.

მიუხედავად ამისა, მისმა ორგანოებმა: „ობზორმა“ და „ნოვოე ობოზრენიემ“ დიდი სამსახური გაუწია ჩვენ საზოგადოებას: კავკასიის ბიუროკრატია ანგარიშს უწევდა ნიკოლაძის ორგანოებში გამოქვეყნებულს აზრებს და შეხედულებას.

ამათი მეოხებით, ბობოლა და წვრილი ჩინოვნიკებს აწვებული სადავე საგძნობლათ დაუმოკლდათ.

ამას გარდა, ძირითადი საკითხები ერობის შემოღებისა, უნივერსიტეტის დაარსებისა, ნაფიკ მსაჯულთა, ქალაქთა თვითმართველობის ავკარგიანობისა, ბანკებისა და მრავალ სხვათა შესახებ, ბ-ნმა ნიკოლაძემ მეცნიერებისა და ჩვენ ცხოვრებასთან შეფარდებულ სასიკეთო და სასარგებლო კალაპოტში ჩააყენა.

რაც მან ირა თქვა ამ საგნების შესახებ, მეტი სხვას არა უთქვამს რა. და ყოველივე, რაც მას შემდეგ დაიწერა ამ საკითხების შესახებ, მხოლოდ მკრთალი გამეორებაა ნიკოლაძის ორგანოებში გამოთქმულისა და მეტი არაფერი...

პუბლიცისტური ნაწარმოებით არ ბოლოვდება მი'ი სასარგებლო მოღვაწობა. პუბლიცისტმა და კრიტიკოსმა ცოტა ხანს, თითქმის ხელი უშვა კალამს, და პრაქტიკულ მოღვაწობას მიყო ხელი.

ითავა და გააყვანია საზოგადოებას ცხენის წყლის არხი და დღეს ამ არხის მიდამოებში რო მიიხედ-მოიხედოს, ვისაც არხის გაყვანამდი ეს არე --მარე უნახავს, ცნობა გაუქირდება: აქაური ყანა და ბოსტანი, ვენახი და ბაღი, ადრინდელთან შედარებით, ერთი ასათ აჯილდოებს მუშა მცხოვრებელს.

ახლა მიბძანდით ქ. ფოთში და შეაღარეთ გენერალ ვახრამოვის თავობის-ღროის ქალაქი ნიკოლაძის თაობისას და უნებლიეთ წამოიძახებთ: ნიკოლაძეს სასწაული მოუხდენიაო! ამ ქალაქის ნავთსადგური, მისი ტრამვაი, მისი განათება, მისი შემოსავალი --ყოველივე ეს ევროპულათ განათლებული, გულ მოდგინე მოღვაწის. ჭკვიანი კაცის ხელისა

და თავის ნაყოფია... ლიტერატურული მისი მოღვაწობა-კი ისე იყო მიმართული, რომ, ერთი მხრით, მართებლობას უჩვენებდა საღს გზას ხალხის მართვა გარემოებისას და, მეორე მხრით, ჩვენ ხალხში აღძრავდა საღი კანონიერებისადმი სიმპატიის და თვისი ღირსებისა და პატივის დაცვას...

და განა შეგიძლია ამ პატარა, შემთხვევით გამოწვეულ წერილში, იმ ნაყოფიერი და სასარგებლო შრომის, აღწესება და დაფასება, რაც ნიკოლაძის თავისა და ხელისგან გამოსულა სამოცი წლის განმავლობაში?...

ამის ღრო ახლა არ არის. და, რაც ვთქვით, ვთქვით მხოლოდ იმის გამო, რომ ამ ჩვენ საყვარელ მამულიშვილს „კავკასიის ლომს“ (ასე ეძახოდენ რუსის პუბლიცისტები ნიკოლაძეს.)

და ახლა ჩვენი ვალდებულებაა გამოვესარჩლოთ ჩვენ ძვირფასსა და საამაყო მოქალაქეს, მივეცეთ ამ შვამდგომლობას ფართე ხასიათი, რო მას აეხადოს მიყენებული სასჯელი და ამით გაეხსნას მას ხელი, რო ნაყოფიერათ და ნიჭიერათ იმუშაოს უკანასკნელ დღემდი, როგორც აქამდი უმუშავნია.

დღეინდელზე უმეტესათ, ისეთი კაცი, როგორც ნიკოლაძეა, შგონი, არაოდეს არ დაქვირებია და არც დაჭირდება ჩვენ ქვეყანას...

თელი ახალ-თაობა, ჩვენი ქვეყნის მომავლის იმედები რუსეთის მტრებთან საბძოლველათ არი გასული და დაბრუნებას იღარც-კი მოველით და შინ დარჩენილი მსცოვანი გონიერი და საქმიანი მოღვაწენი, თუ მსაჯულთა გაუგებრობის სხვერპლი შეიქნება, მტრისგან გაოხრებულ ქვეყანას, ვინღა უნდა მოუაროს.

სამსონ უიფიანი.

ავტ.

შარშანწინ, როცა ნიკოლაძის სალიტერატურო მოღვაწობა მოკლეთ კრიტიკულათ შევაფასეთ, ჩვენ მას ვუწოდეთ „კავკასიის პუბლიცისტის არწივი“. ხომდღელი.

6. მარის ლექცია.

(წერილი ბაქოდან.)

აკადემიკოსი ნიკო მარი საკმაოდ ცნობილია, როგორც ერთი საუკეთესო მკვლევართაგანი „ვეფხისტყაოსნისა“. ამიტომ მისმა ლექციამ შ. რუსთველის პოემის შესახებ დიდ ძალი საზოგადოება მიიზიდა.

ლექცია ძალიან საინტერესო გამოდგა. დასაწყისში ბ-მა მარმა თქვა: „მე 25 წლის წინათ ვთქვი, რომ ქართული ლიტერატურა სპარსულ ლიტერატურის გავლენის ქვეშ იყო. ეს ნათქვამი ბევრს ძლიერ არ მოეწონა და მე დამემგეს.*) მარა ახლა-კი „სახალხო ფურცელში“ დაიბეჭდა წერილი ქართველ ნიჭიერ პუბლიცისტის, ბ-ნ სიტყვისა, რომელმაც გაიმეორა ის, რაც 25 წლის წინათ ვთქვიო“. სიხარულით ანიშნა, რომ ქართველები, ბოლო დროს, უფრო ობიექტურათ მსჯელობენ სამეცნიერო საგნებზე.

შემდეგ, გადავიდა პოემის ვინაობაზე. შეიძლება, თუ არა ვენდოთ იმ ტყუპებს, სადაც პოეტი თავის თავს რუსთველათ და მესხათ

*) ეს ამბავი იყო 1890 წელს. ამ დროს, თფილისში, ჩემი ფაქტიკური რედაქტორობით ისტამბულ და ყოველ კვირული გაზეთი „თეატრი“, რომელიც თვითურა ჟურნალათ გვიწოდდა გადაგვეკეთებია. მარა, „მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა“, ვერ მოხერხდა. აქ თავმოყრილიყო ისეთი ქართველი მწერლები, როგორც მაგალითად, აკაკი, ნიკო ხიზანიშვილი (ურბნელი), ვასილ წერეთელი, იასონ ლორთქიფანიძე, პეტრე მირიანიშვილი, ვანო ჯაბადარი (სწორილი ნარ-დონი) ნიკო ხუდადოვი და სხვანი.

ჩემმა კარგმა ნაცნობმა, მაშინ სულ ახალგაზდა მსწავლულმა-ნიკო მარმა პეტერბურგიდან გამომიგზავნა „ვეფხისტყაოსნის“ შესახებ წერილი, რომელიც გაზეთში მეთაურ სტატიათ დავსტამებე.

მაშინდელმა „ივერია“ დიდთ დავმო ეს სტატია და ჩვენზეც გული გაუტყდა „ივერიის“ მეთაურს. ილი ამ, სააღდგომოთ რომ დამპატივა, პირადათ საყვედურიც გამიძახა ამაზე.

ახლა ჩვენი მკითხველი კარგათ ხედავს, იმ სტატიის შემდეგ, „ვეფხისტყაოსანზე“ ლიტერატურა ისე გაიზარდა, რომ ნიკო მარის აზრი მაინცდამაინც არავისაც საჩოთიროთ აღარ მიაჩნია. ასეთი ნაყოფიერი შედეგი მოდევს ყოველთვის თავისუფალ კრიტიკას.

ხომლელი.

იხსენიებს. ლექტორის აზრით, არამც თუ პოეტი მესხია, არამედ ამ პოემის სამშობლომ, დიდი გავლენა იქონია დიდებულ, სოფლიო მნიშვნელობის პოემაზე. აქ გაკვრით, მოკლეთ მოიხსენია მესხების ისტორია და წამოაყენა ახალი ისტორიული პრობლემა.

ქართველები ძველი ქალღვევლი არიან. უწინ სცხოვრობდნენ შესოპოტამიაში. შემდეგ, დაიძრნენ ჩდილოეთისკენ, და სულ პირველათ ერთი ტომი, სახელდობ, მესხნი, ანუ მუსკნი. ესენი დასახლდნენ შავი ზღვის ნაპირა ადგილებზე, სადაც, ერთი მხრით, სომხების გავლენა განიცადეს და მეორე მხრით — სვანებისა. ამ პროვინციალურ ენას დაერქვა სონ (სვან) მესხის ენა. შემდეგ, ამ ხალხს დაერქვა სომეხი, გადავიდა იმ ერზე, რომელსაც ეს ხალხი ცოტათ, თუ ბევრათ გაითქვიფა ქართველებში. სახელწოდება სომეხი გადავიდა იმ ერზე, რომელსაც დღესაც სომეხი ქვია. სწორეთ ეს პროვინცია იყო სამშობლო დიდებული პოეტისა. ამას ლექტორი ამტკიცებს სვანიზმებითა და სომხიზმებით, რომელნიც, ავტორის აზრით, ბლონათ არიან პოემაში.

დიდებული პოემის სახელის შესახებ პათვიცემულმა ლექტორმა თქვა, რომ სახელი „შოთა“ წარმოდგება სომხურ სახელიდან „შოტ“, თუმცა ისიც დაძინა: სახელი შოთა, შეიძლება, სომხური არ იყოს, მარა ფაქტი ის არი, რომ შოთას ქართულ-ქრისტიანული სახელი არ ერქვაო.

მეორე ნაწილში ლექტორმა ანიშნა ბ. ბ. მირიანიშვილის, გვაზავას და მამედ-აბაშიძის პოლემიკა. ილაპარაკა, თუ რა დიდი გავლენა მოახდინა მამადიანურმა კულტურამ „ვეფხისტყაოსანზე“. ეს გამოიხატება არა მარტო სიტყვებში, არამედ პოეტურ ფორმებშიც, პოეტურ ტავტოლოგიაში, სადაც პირველი ნაწილი ქართულია — მეორე სპარსული, ან არაბული. ეს გავლენა არ აიხსნება იმით, რომ შოთამ იმ ტექსტიდან, რომლიდანც ვადაკეთათვისი დიდებულ პოემათ „ვეფხისტყაოსანი“, ისესხა ფორმები და სიტყვები... ქართულ „ვისრამიანში“, რომელიც ითარგმნა სპარსულიდან, შეგვხვდება იმ გვარი სპარსულ-არაბული

სიტყვები, რომელნიც ორიგინალში სულ არ არიან. ეს სიტყვები ქართველ ერს, თუ არა, პოეტს მაინც შესისხორცებული ქონდა, ბუნებრივად შეთვისებული.

ეს თუ ასეა, საინტერესოა გამოვიკვლიოთ, თუ რა საარწმუნოების იყო პოეტი? ლექტორი ფიქრობს, რომ პოეტი, აუცილებლად, მამადიანი იყო.

შოთა დიდი პატივისცემით ეპყრობა ისლამს. ვარდა ამისა, პოეტი ძლიერ ნაკლებათ ხმარობს საღვთო წერილის ტექსტებს. მხოლოდ ორი ადგილია სამოციქულოდან და იმათშიც ერთი ყალბ ხანაშია მოთავსებული. სამებას, ქრისტეს, ღვთისმშობელს, წმიდანებს ხომ სულ არ ახსენებს პოეტი თავის დიდებულ ნაწარმოებში.

მარა, როგორ მოხდა, რომ თამარის დროს, დრო, რომელიც ქრისტიანობის ძლევა-მოსილობა იყო, წარმოიშვა დიდებული პოეტი — მამადიანი? ამ გარემოებას ლექტორი ხსნის ამ გვარად: პოეტი თამარის თანამედროვეი არაა, ე. ი., არა XII—XIII ს. ს. მწერალია, არამედ თამარის შემდეგ დროისა, ე. ი., XIII—XIV ს. ს. ამ დროს აყვავდა ანისის კულტურა, სადაც უმაღლეს წერტილამდი ავიდა სომხების არქიტექტურა. სწორედ ამ დროს, მეზობელ მესხთა ქვეყანაში, რომელიც მაშინ, ლექტორის აზრით, უკვე ნახევრად მამადიანი იყო, — ცხოვრობდა მამადიანი ქართველი პოეტი, შოთა რუსთველი... (ს. ფ.)

ქართული მწერლობა

1916 წელს.

შარშანდელი წელიწადი ჩვენთვის უფრო გამწარებული და საშინელიც შეიქნა, ვიდრე შარშანწინდელი. ამ საერთაშორისო, უმაგალითო ომმა სოფელ-ქვეყანა სულ ერთიანად აცალიერა. ქართველი ერის მოზარდი თაობა და ვაჟაკობაც, რომლის ყოველ დღიური მოქმედებით და შრომით დულდა ცხოვრება, ომში, პირდაპირ საშინელი ბძოლის ველზეა გაკრული და იქ გამირულად კვდება. სოფელ-ქვეყანა მარტო ბავშვების, ქალების, მოხუცებულების, კუჭებისა და ბრმების ამარა დარჩა.

ესენიც, თუმცა გაორკეცებული ენერგიით მუშაობენ, გულს არ იტეხენ და ებძვიან მეტათ აუტანელ ცხოვრებას, მაინც ვერაფერსაც ვერ ახერხებენ. შარშანწინდელ წყალდიდობისგან წალეკილებმა შარშან კარგათაც დაიმუშავეს ყანები, მარა ეს დამუშავებული ყანების მესამედიც ვერ შეიტანეს სახლში შემოდგომაზე. ატყდა გაღულებელი წვიმები, სიცივეები და ყანაშივე დაღაპა სიმიდიც და ჩალაც.

ასეთ უბედურებას დაერთო მუშა საქონლის განადგურებაც. საქონლის ჭირმა მუსრი გაავლო ოთხ-ფეხ საქონელს და, აბა, მოხუცი და დედა-კაცი, რას გააწყობდენ, როცა მუშა პირუტყვი აღარსად იყო.

გულგახეთქილი კაცი ამას კიდევ გაუძლებდა, რომ რუსეთიდან პურის მოტანა ჩვენში ასე არ გაჭირებულიყო და ხელმისაწვდენ ფასებში იყიდებოდეს. თფილისსა და ქუთაისშიაც იყო ისეთი კვირეები, რომ კინაღამ მეორეთ მოსვლის უბედურება არ დატრიალდა. ამ ომიანობამ ისეთაც მოუწყობელი მიმოსვლის საშუალებანიც სულ ერთიანად მოსპო და რუსეთი, პურით მდიდარი რუსეთი, რომელიც ევროპის ხმელეთს აქამდი პურით არჩენდა, დღეს თვით განიცდის უკიდურეს მდგომარებას

ამ უბედურებას ზედ დაერთო ზაფხულში საქართველოს ქალაქებსა და დაბებში, ჯერ არნახული, არც გაგონილი ქალების „პაგრომები“, რომელიც, როგორც დამტკიცდა, ჩრდილოეთიდან იყო მოწყობილი. რომ ჩვენ დეპუტატს — კარლო ჩხეიძეს ენერგიული ზომები არმიელო, ვინ იცის, ეს „პაგრომები“, რა უშველებელ უბედურებას დაატრიალებდა...

ყველას ჩვენში, მდიდარსაც და ღარიბსაც, ქალსაც და კაცსაც „პური ჩვენი არსობისა“ განდომია საზრუნველ საგნათ. დილიდან საღამომდი და საღამოდან დილამდი მხოლოდ ამაზე ფიქრობენ, მარა გამოსასვლელი გზა ვერ გამოუჩინავეთ და გულს ასკდებიან. ასეთ მდგომარეობაში, დამეთანხმებით ნორმალური მუშაობაც და ოჯახზე ზრუნვა ყოვლად წარმოუდგენელია.

როგორ-ღა შეიძლება ჩვენში უგზო-უკვლოდ რუსეთიდან პურის შემოტანა?

ამაზე ფიქრობენ დღეს ყველანი, უბრალო ოჯახის კაცი და დიდი ბიუროკრატი, საზოგადო მოღვაწენი და ქალაქების „მამებიც“. მარა საქმეს გაუმჯობესობა ოდნავაც არ ეტყობა.

ერობას, რასაკვირველია, შეეძლო დახმარება გაეწია ქვეყნისთვის. მარა, ბარე ორი ტურა იკივლებს ხოხობოურში, სანამ საქართველოს ერობა ეღირსებოდეს...

დიდ დახმარებას უწევს ქვეყანას ქართული საქველმოქმედო საზოგადოება და კოოპერაციებიც. მარა ეს დახმარება, უნდა სიმართლე მოგახსენოთ, მხოლოდ წვეთია ზღვაში.

ამ უდიდეს საქვეყნო გაქვივრებას ზედ დაერთო ათასნაირი ფორმის ყაჩაღობა, შანტაჟი, ენით გამოუთქმელი გარყვნილება, ადამიანთა ცოცხლათ ტყეში გატაცება ვაჭრებისა, დოკტორებისა და მცირეოდენ ფულის პატრონებისა. სოფლათ ქალიშვილები ფსიხოზით არიან შეპყრობილნი...

სამშობლო ქვეყნის ჰაერი თლად შეიხუთა. თავისუფლათ კაცს ვეღარ ამოუსუნთქავს და მოუსვენებია. ორი გროშის გულისთვის კაცს ღორივით კლავენ, ერთი ნესვისთვის ცოლ-შვილის პატრონს შვადლისას, ქალაქის უპირველეს ქუჩაზე გააგორებენ. პირდაპირ, აშკარათ ქალაქ ქუთაისს, სეკტემბრის ღამეში ყაჩაღები, რევოლიუციონერებივით, ჯავს დაეხსენ და ქართველი რსაველების უბანი ბერდანკების ხათქა-ხუთქით აიკლეს...

გულ გახეთქილი მოქალაქე, ვაჭარი, დამით ვეღარ იძინებს. ნერვები ისე საშინლათ აეშლებს, რო შვადამეზე გამოღვიძებული ცოლ-შვილს დაერევა მოსაკლავათ, ყაჩაღები ხართო. ბევრმა ვაჭრობაზე ხელიც აიღო, საქონელს აღარ იწერს და ლიკვიდაციას უშვრება თავის სავაჭროს და უნდა გაეცალოს იმ შეწინააღმდეგებლობას, სადაც სიამით ცხოვრობდა აქამდე და დღეს-კი ეს სამოთხე ჯოჯოხეთად გადაექცა...

კაცის სიცოცხლეს კიტრის ფასი აქვს. სწორეთ ისე, როგორც ეს იყო დიდი გამათავისუფლებელი მოძრაობის დროს. მარა ეს აიხსნება ჩვენი ცხოვრების ჩამორჩენილობით. ჩვენში რო ფაბრიკები და ზაფოდები იყოს,

იცოცხლეთ, ეს ამბავიც არ იქნებოდა, რო, მარკსის თქმისა არ იყოს, ჩვენ არ ვიღუპებოდეთ და არ ვისპობოდეთ კაპიტალიზმის უქონლობით...

უეჭველია, რომ ასეთი დიდათ დიდი გაქვივრება სხვაგან, სხვა ქვეყნებშიაც არი და ეს დღეს საყოველთაო ამბავია...

მარა ჩვენ მაინც სასოწარკვეთილებას არ მივცემულვართ და გულიც არ გავგეტეხია და გასული წლის მაღლობელიც ვართ. ეს იმიტო, რო ის შეიქნა დიდათ საგულისხმო და დამაფიქრებელი საქვეყნოთაც და ჩვენთვის, ქართველთათვისაც. აი, რა დიდსა და საყურათლებო აზრს გვიმოდღვრებს შარშანდელი წელიწადი: ყოველი ცოცხალი ერი, როგორც ერთი კერძო ცოცხალი ადამიანი, მარტო და მხოლოდ თავის საკუთარ თავზე უნდა იყოს დანდობილი და დაიმედებული. სხვისი დახმარების იმედი ტყვილა ნუ ექნება ცოცხალ ერს. სხვის იმედით ცხოვრება წყალწალბებულ ცხოვრებას წააგავს პირდაპირ.

ამიტომაც, ვისაც თვისი ცოცხალი თავი მიაქვს ამ გამწარებულ ცხოვრებაში, მას მარტო და მხოლოდ თვისი ჭკუის და გამოცთილების, თვისი სიბძნის და ტალანტის, თვისი ხერხის და მეცნიერების იმედი აქვს. ამ მეცნიერების, ტექნიკის, გააღმასებული გძნობა-გონების ძლიერება და გოლიათობა უმორჩილებს ერს ცას და ქვესკნელს, ზღვებს და ხმელეთს. ამ წუთი სოფლის ძლიერებას და უკვდავებას მხოლოდ და მარტო ეს იარაღები სჭედენ და ეს უნდა გაითვალისწინოს ყოველმა ცოცხალმა და საიმედო ერმა.

ამის მაგალითი მოგვცა ჩვენ შარშან გერმანეთმა, რომელიც ერთ უშველებელ რალაც საოცრებას წარმოადგენს თელ ქვეყნიერებაზე.

გამწარებული მტრებით რკალივით გარს შემორტყმული, გერმანეთი მარტო თვისი საკუთარი გასაოცარი ძალ-ღონით და მეცნიერებით უმკლავდება ყველას და არა თუ თავის თავს შველის, სხვებსაც, თავის უფრო სუსტ მოკავშირეებს შველის და იხსნის ხოლომე ვანსატელისგან, როგორც შარშანწინ იხსნა აფ-

სტრი-უნგარეთი, ოსმალეთი და სხვა. დღესაც, ერთ წუთს გადაწყდა, იმის მეოხებით, პოლონეთის ბედიც, რომელიც თელი ერთი საუკუნე და მოკლეს ხმალივით თავზე ადგა ევროპის უდიდეს სახელმწიფოებს...

ჩვენც სწორეთ ამ უდიდესმა გაქვირებამ გამოგვახედია თვალეში, შეგვაგნებია ჩვენი ნაბღვილი და ქეშმაიტი კირი და ლხინი და ქართველებისთვის ნათელი შეიქნა, რო ჩვენ თავს მხოლოდ და მარტო ჩვენი საკუთარი მეცნიერებით და ნივთიერი შეძლებით, ჩვენი ქკუთ, გამოცთილებით და გამრჯელობით ვუშველით

ხომლეი.

(შემდეგი იქნება.)

ს ა შ ო ბ ა რ ი .

II

ძმაო ლევან! ამ დღეებში საშობო ნობათად თფილისის გაზეთებმა მოიტანა ამბავი, რომ აკადემიკოსს ნ. მარს, ქ. ბაქოში, წაუკითხავს ლექცია შოთა რუსთველის შესახებ. კარგათ იცი, თუ რა ღრმა პატივისმცემელი ვიყავი ბ-ნი ნ. მარისა და რა გულისყურით ვაითხულობდი ხოლმე მის ყოველ ახალ გამოცემას და გამოკვლევას. ამიტომ დამიჯერებ, თუ გეტყვი, რომ აღტაცებით შევუდექი ამ ლექციის შინაარსის კითხვას. რათგან ღრმათ მწამდა, რომ ბ-ნი ნ. მარი ახალი სამეცნიერო თვალსაზრისით და ახალი არგუმენტებით ახალ ნათელს მოფენდა ჩვენთვის სათაყვანებელისა და სულმნათის შოთას პირადობას. მარა იცი, რარიგ მოგტყუვდი?!

გავათავე, თუ არა ლექციის ამბავის მოთხრობა, გული შემითანაღრდა და სადღაც იმის სიღრმეში მწარე ტკივილი ვიგძენი. ტკივილი იმის შესახებ-კი არა, რომ ბ-მა ნ. მარმა ასე შეუფერებლათ შეათვას ვინაობა შოთასი. არა. მე გული დამწყვიტა იმგარემოებამ, რომ თვით, ბ-ნი ნ. მარი სრულებით პატარა კაცათ მეჩვენა იმ კაცუნათ, რომელიც დიდ საისტორიოსა და საეროვნო გმირს, ასე ზერელეთ მოგპყრობა

ხოლმე და რომელიც მხოლოდ სხვათა სასიამოვნოთ ალაპარაკდება ხოლმე. აი, ეს გძნობა იყო მძიმეც და მწვავეც. თორე შოთას დიადობას ვერავინ დასწევს და ვერც ვინმე მიყენებს მის პირადობას „მკრთალ ნათელს“, რათგან საქმენი მისნი ცხდათ დაღადებენ მის უზენაესათ გავითარებულსა და გაფაქიზებულ აღმაფრენას, რომელიც ასე ღრმათ აღბეჭდილია ყოველი ქართველის მეხსიერებასა და გონებაში. და ხომ იცი, ნ. ბარათაშვილის მიერ მკაფიოთ გამოთქმული ქეშმარიტება, რომ „რაცერთხელ სულსა ღრმათ დააჩნდების, საშვილიშვილოთ გადაიცემის“.

ამასთანვე ასეთ საქმეს, ასეთ სამსახურს, თელი ერის წინაშე ნამოქმედარს, „ვერც შემთხვევა და ვერც ხანი ვერ დააბერებს“.

ამიტომ, ჩემთვის ცხადია, რომ შოთას ნაწარმოებისა და პირადობის შესახებ, რაც გინდა ახალი ჰიპოტეზები და თეორიები არ უნდა შეითხზას, შოთა მაინც ყოველი ქართველის წინაშე, ყოველთვის ფენიქსებ განახლებული წარმოდგება და შოთას დიადი აღმაფრენა, შოთას დამსახურება თელი ქართველი ერის წინაშე, ენის გაშვენიერებისა და გაფაქიზების საქმეში, შოთას სიმალღეს იმავე საფეხურზე დატოვებს. შოთას გულითადის და წარმტაცი მღერა-კი სიყვარულისა და მეგობრობის შესახებ ყოველთვის ჯანსა და სიმხნვევს მოგვრის ქართველს და ამიტომ ეს უკანასკნელიც ყოველი ახალი საუკუნის განმავლობაში უფრო მალლა და მალლა დაასადგურებს ლალ შოთას...

მარა ამის მიუხედავათ, რომ ეს აზრი გულსა მტკიცეთ დანერგულია, მაინც მსურს ამჟამათ, რამდენიმე არგუმენტითა და მოსაზრებით ცხად ვყო, რომ ბ-ნი ნ. მარი ძალიან შემცდარია და იგი მეცნიერისთვის შესაფერ მტკიცე ნიადაგზე არა დგას. პირიქით, ეს ნიადაგი მის ფეხთა ქვეშ ცომივით იზილება და უსხლტდება. მაშ, მისმინე!

— გეხსომება ის ამბავი, რომ თითქმის ამ ოცდახუთი წლის წინათ ბ-მა ნ. მარმა საქვეყნოთ გამოაცხადა, რომ „ვეფხის ტყაოსნის“ დედანი სპარსულ ენაზე დიდი ბრიტანეთის

ერთ-ერთ ბიბლიოთეკაში არი დატულია და მალე მივიღებო. ამას თან დაძენდა, რომ შოთას პირწმინდათ გალექსილი აქვს მხოლოდ ეს დედანიო და ისიც „ქართულათ ნათარგმანებო“. ამ გაცხადებით და ისიც ასეთი „კათეგორიული იმპერატივით“ ცხადი იყო, რომ შოთას შემოქმედობისა და აღმაფრენის შესახებ ლაპარაკი-კი მეტი იქნებოდა. იგი უბრალო მელექსე იქნებოდა, ჩვენი დროის გუგუნავა, რომელმაც „თამარიანი“ გალექსა. მარა განვლო ამ გაცხადების შემდეგ, ოცდახუთმა წელმა და ასე სხარტათ წამოსრორილი სიტყვა ვერ გაუმართლდა ბ-ნ ნ. მარს. იგი-კი იმის მაგიერ, რომ ასეთი უსაბუთო გაცხადების შემდეგ, სრულებით გაჩუმებულიყო, მაინც დაჯინებით ამასვე იმეორებს თავის ნაწარმოებში, რომელიც გამოვიდა 1910 წ. ამ სათაურით: *тексты и разысканія по армяно-грузинской филологіи. Книга XII. Вступительныя и заключительныя строфы витязя въ барсовой кожѣ шоты изъ Густава. Грузинскій текстъ, русскій переводъ и поясненія съ отъездомъ „Култѣ-женщины и рицарство въ поэмѣ“*. აი, ამ წიგნში ბ-ნ ნ. მარი წერს, რომ „პოემის შინაარსი ნასესხებია სპარსული ლიტერატურიდან, მარა **სპარსულ ენაზე აქამდე ვერ ვნახულობთ დედანს, ან ამ დედანის რაიმე კვალს.***) ეს გაცხადებაც პირველი გაცხადების მგზავსია. ნ. მარი დღემდე დაჯინებით დაეძებს დედანს და ნეტავი მას, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ვეღარ დარწმუნდა, რომ ძებნა მისი ამაოა და ტყუილი ცოდვილობა. აქვე უნდა მოვიგონო ასეთივე თამაში და თავდაუქერელი გაცხადება ბ-ნი ივ. სპ. ჯაბადარისა, იმ ჯაბადარისა, რომელსაც ნ. ნიკოლაძემ ალაზნის გაღმა ნაპირის ჭეროსტრატე უწოდა, რომ „ვეფხის ტყაოსანი“ გადმოკეთებული „მეჯუნღ და ლეილა“ არისო. ეს აზრი ბ-ნმა ჯაბადარმა, რამდენათაც მახსოვს, სწორეთ იმ ხანებში გამოთქვა, როცა ბ-ნმა ნ. მარმაც. ამ ჟამათ-კი დაბეჯითებით არ ვიცი, ვინ, ვის

მოასწრო. ყოველ შემთხვევაში ნათელია, რომ ორივე ცთა იქით იყო მიმართული, რომ შოთას სულ-მნათობასა და დიადობას შარაგანდელი შემოცლოდა. ამით-კი ცხადათ მტკიცდებოდა, რომ ქართველი ერის შოთასადამი თავგანება უნიადაგო იქნებოდა და მეტიჩრობაც, ის მეტიჩრობა, რომელიც კიტრათაც არა ღირს. აქვე ერთიც უნდა გაგიმჟღავნო: ყოვლათ გაუგებარი იყო ბ-ნის ნ. მარის ისეთი აჩქარება. იგი ხო დარწმუნებული იყო, რომ „ვეფხის ტყაოსანის“ დედანი სპარსულ ენაზე დიდი ბრიტანეთის ერთ ერთ ბიბლიოთეკაში ინახებოდა, ყოველი ქუა-დამჯდარი კაცი—მეცნიერი, გინდ სულ უბრალო მკვლევარი—თავს შეიკავებდა, დედანის შილებას, ან გადაწერას მოუცტიდა და ნათელი სიტყვადით დაგვიმტკიცებდა თავის აღმოჩენას, რომელსაც ჩვენც, სიტყვის შეუბრუნებლათ, მივიღებდით. მეტი გასაქანი როდი გვექნებოდა. ამიტომ იმ თავიდანვე ეს გაცხადება სრულებით მეცნიერული არ იყო და გაუგებარიც იყო...

მარა ამით არ იკმარა ბ-ნმა ნ. მარმა. მან სხვა ახალი იერიში მიიტანა შოთაზე. ზემო აღნიშნულ თხზულებაში იგი იმეორებს იმ აზრს, რომ „თამარისადმი მიძღვნილი ხოტბანი (Оды) რომელთაც ჩახრუხადეს მიაწერენ ხოლმე, ეკუთვნიან, უნდა ვირწმუნოთ, იმავე შოთას რუისთავიდანო.“*) ეს მეორე გაცხადებაც პირველისებურია. გამოდის, რომ შოთა უბრალო მეხოტბე და მლიქვნელი მელექსე იყო, როგორც ეს შეშვენის მეხოტბეს. ასეთი პ—ტის ნაწარმოებს-კი, როგორც ვიცით, ლიტერატურის ისტორიიდან, აღმაფრენა სუსტი და ბლაგვი აქვს, მის გძნობას გულ-წრფელობის ნატამალიც არ ამჩნევია, ენა-კი ვადაპრეხილია და არა თასმასავით მოქნილი და ნარნარი: აქ მხოლოდ სიტყვათა აკონკრეტული ხროვაა. ცხადი იყო, რომ შოთას დიდი სახელი ამით იბღალეობოდა. თუმცა, მართალი რა თქვას კაცმა, ეს არც ისე აღმაშფოთებელი იყო, რათგან სოფლიო ლიტერატურის იმავე ისტორიიდან დაბეჯითებით ვიცით, რომ ასეთი დიდი პოემის, როგორც „ვეფხის ტყაოსანია“, ერთბაშათ დაწერა, გამოუცთელი და გაუვარჯიშებელი კალმოსნის მიერ, ყოვლად შეუძლებელია. ამიტომ ბეჯითად უნდა ვირწმუნოთ, რომ შო-

*) იხ. გვ. 1.

თა, სანამ ასეთი გენიოსურ ნაწარმოებს შექმნიდა, პირველ ხანებში, ახალ-გაზრდობისას, ბევრ მცირესა და უმნიშვნელო ლექსებსა და ნაწყვეტებს დაწერდა. სხვა გვართ წარმოუდგენელია ასეთი ნაწარმოების წარმოშობა. ისეთი ნაწარმოებისა, რომელშიც, ბ-ნის ნ. მარის თქმით, „и по музыкальности, и по сжатости слога и образности мысли мы находим лучшее, что только вышло из — подъ пера Шоты“.*) ამიტომ შესაძლებელია, რომ შოთა ახალ-გზდობაში, სანამ იმის ნიჭისა და გონების გავითარება შესაფერ მომწიფებას განიცდიდა, სანამ შოთა სალიტერატურო ქართულ ენას ზედ-მიწვევით შეიმუშავებდა და შეითვისებდა, დაწერდა სანოტბოსა და მცირე მნიშვნელოვან ლექსებს, მოსწრებულ სხატულ გამოთქმათ. მარა დღემდე არც მარისთვის, არც ჩვენთვის საკამათო არ იყო ის დრო, ის ხანა, როცა შოთა ცხოვრობდა. პირიქით. ეს არა თუ საკამათო არ იყო, ეს აზრი ძალზე დაგვიბეჯითა თვით ბ-ნმა ნ. მარმა თვის ზემო-აღნიშნულ თხზულებაში. ამიტომ, თუ-კი ამ თხზულებას რაიმე მნიშვნელობა მოეპოვება, ეს ის არი, რომ სწორეთ ამ აზრს არკვევს, ასაბუთებს და რამდენიმე უტყუარი არგუმენტით მტკიცეთ გვიდასტურებს. ამ აზრს, ამ შეხედულებას, ამდენხანს ქართველი ერის მიერ რწმენათ მიღებულს, რომ შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსანს“ ცხადათ ემჩნევა, რომ იგი დაწერილია მე-ХП--ХІІІ საუკუნეშიო. ამ თხზულების შემდეგ, ეს აზრი, ეს შეხედულება ჩვენთვის რწმენა-კი აღარ იყო, არამედ უტყუარ და უცილობელ ჭეშმარიტებათ იქნა მიღებული და აღსარებული. ამიტომ მეტი არ იქნება, აქ ამოვწერო რამდენიმე ასეთი არგუმენტი, რომ ვიცოდეთ, თუ რას გვასწავლიდა ამდენხანს ბ-ნი ნ. მარი.

იგი გვასწავლიდა, რომ შოთამ „დაამუშავა ეს მოთხრობა მე-ХІІ—ХІІІ საუკუნის ქართველებისთვის“ (იხ. გვ. I), რომ „ამ ლიტერატურულ ნაწარმოებში ქართველები სრული უფლებით ხედვენ ლიტერატურაში თვისი გენიოსო-

ბის უაღრეს გამომჟღავნებას“ (იხ. გვ. I), რომ ქართველები „ინსტიტუტურათ აფასებენ თანამედროეს, რასაკვირველია, შემთხვევით-კი არა, მშობელი სახელმწიფოს პოლიტიკური ძლიერებისა და სხივოსნობის ეპოქისას“ (იხ. გვ. I და II), რომ „რუსთავის პოეტისთვის უცხო არ იყო სქოლასტიკა, მარა შოთას ნაკითხობა ფილოლოფიაში და იმის გაცნობა რიტორიკის წესებთან შეუძლებელია საკამათო იყოსო“ (იხ. გვ. VП). ბ-ნი ნ. მარი ამასთანვე აშკარათ ამბობს, რომ „პოემაში ნეოპლატონიზმის გავლენის ცხადი ნიშნებიაო, იმ ნეოპლატონიზმისა, რომელიც процвѣталъ въ Грузіи въ Х—ХІІ вѣкахъ“ (იხ. გვ. ХІVІ). იქვე დაძენს ბ-ნი ნ. მარი, რომ *начитанноетью Шоты въ грузинской неоплатнической философии объясняется также вся фразеология стиха 864,4 въ рѣчи Таріела*“. (იხ. გვ. ХІVП). გარდა ყოველივე ამისა, ბ-ნი ნ. მარი იკვლევს და ატკიცებს, რომ პოემაში უაღრესათ გატარებულია დედა-კაცის კულტის თაყვანებაო და რომ „ძველ საქართველოში რაინდობა (ყმა, ან ჭაბუკი) არი ნაყოფი ადგილობრივი ცხოვრებისაო, მშობლიური ინსტიტუტი და არა შემოტანილი კულტურულ-სოციალური ცნებაო“ (იხ. გვ. XXXАП. საგულისხმოაო, რომ „საქართველოში მე-ХІІ საუაუნის ბოლოს, ლიტერატურის ამ საგულისხმო მოვლენების გავითარებისთვის საჭირო პირობები იყოო“ (იხ. გვ. ХІАП). ამას დაძენს, რომ „ღვთის კულტიდან დედა-კაცის თაყვანებაზე გადასვლას აქვს, უნდა ვიფიქროთო, თვისი ისტორია ქართულ ნიადაგზეო“ (იხ. გვ. VI). ბოლოს-კი იძიებს, თუ სასულიერო რომ ლიტერატურის ეს გავლენა, როგორ გავიდა საეროზე და როგორ შეიცვალა ღვთის თაყვანება დედაკაცის თაყვანებაზე (იხ. გვ. ГА) და წინამორბედს დედაკაცის კულტისას, თაყვანებისას, რომელიც პოემაში არი გატარებული, პოულობს გრიგორი ხანთძელის ცხოვრების აღწერაში. (იხ. გვ. III).

ეს ამოწერილი ფრაზები გვიდასტურებს, რომ ამდენ ხანს ბ-ნი ნ. მარი გვიმტკიცებდა და გვაჯერებდა, რომ შოთა რუსთველს უნდა ეცხოვრა მეთორმეტე საუკუნის პირველ ნახე-

*) იხ. გვ. IV.
**) იხ. გვ. V.

ვარში. ჩვენც ეს აზრი მივიღეთ და დავიჯერეთ, რათგან ეს ადასტურებდა აქამდე მიღებულ შეხედულებას და ეს სრულებით შევეუწერებოდა ისტორიისა და ცხოვრების ნამდვილ ვითარებას. ახლა-კი ბ-ნი ნ. მარი აყოლია საეკვო ცოდნისა და სუბუქი გონიერების პატრონს, ბ-ნ ს. კაკაბაძეს*) და მასთან ერთად, ამდენი ხნის განსწავლული კაცი, იმეორებს უბადრუკ აზრს, ვითომც შოთას უნდა ეცხოვროს მე-XIV—XV საუკუნეებში და თვის ამდენი ხნის ნაშრომსა და ნაღვაწს ერთი კალმის მოსმით სპობს და თლად შლის ჩვენ მესხიერებაში. მარა საოცარი ის არი, რომ ბ-ნი კაკაბაძის უდიერ შეხედულებას დაძენს უფრო საოცარ აზრს, რომ შოთა გამუსულმანებული სომეხი (მესხი) იყოო**). ასე სხარტათ, ასე მოსხლეტით გამოთქვამს ბ-ნი ნ. მარი ამ აზრს, რომელიც თლად ერთიანათ ეწინააღმდეგება მის ოცდა ხუთი წლის ნაშრომსა და ნაღვაწს ამ სფეროში. და იგი არც-კი ცთილობს, ეს აზრი, ეს შეხედულება დაგვიმტკიცოს, დაგვისაბუთოს, ცხადი და უტყუარი არგუმენტებით დაგვაჯეროს. ეს რაა? თელი ქართველი ერის აბუჩათ აგდებაა, თუ აქ საქმე გვაქვს იმ სამწუხარო მოვლინებასთან, როცა კაცს გონება იმდენათ დაუჩლოუნდგება, რომ აღარ იცის, დღეს რასა წერს და გუშინ-კი, რა დაწერა, ან რა თქვა?!

ან როგორ შევარიგოთ ის საწინააღმდეგო დებულებიანი, რომ წინათ, ზემო ანიშნულ თხზულებაში, ბ-ნი ნ. მარი გვიმტკიცებდა, რომ შოთას წინ ედვა არა სპარსული დედანი, არამედ იმის ქართული თარგმანიო. ამიტომაო, ზოგი სპარსული და არაბული სიტყვა და სახელი შოთამდი შეიცვალა და შეირყენაო. ამოტომ შოთაც ამ შეცვლილსა და შერყენილ სიტყვასა და სახელს ხმარობსო (იხ. გვ. XVI

*) ამდენანს ჩვენ ვიცნობდით სამარცხვინო ტიპის ლიტერატორს-ლევან ყიფიანს. ახლა-კი ამ ტიპის „მეცნიერიც“ გაგვიჩადა: ს. კაკაბაძე.

**) შითხარით, რა მოსატანი იყო აქ მესხისა და სომხის ნათესავობა? ეს ხო პრეისტორიული ამბავია და ამ ამბის სინამდვილემ, როგორღა იჩინა თავი ქრისტეს შემდეგ, მე-XIV—XV საუკუნეებში? საოცარია, მარა ჯადოსნობაა?!.

სხოლიო მ). დღეს-კი ბ-ნი ნ. მარი გვეუბნება, რომ შოთა მუსულმანი იყოო. თუ მუსულმანი იყო, ისიც იმდენათ განათლებული და გავიწარებული, რომ შეეძლო „ვეფხის ტყაოსანი“ დაწერა, როგორ მოხდა, რომ ეს შეცვლილი და შერყენილი სიტყვები და სახელები ველარ გაარკვია და სწორეთ ვერ იხმარა?! მას, უეჭველათ, ხომ ეცოდინებოდა სპარსული და არაბული ენები?

მარა თავიც რომ დავანებოთ იმ არგუმენტებს, რომელნიც ბ-ნი ნ. მარს ჩამოთვლილი აქვს, იმის დასამტკიცებლათ, რომ „ვეფხის ტყაოსანი“ შექნილია მეთორმეტე საუკუნის მეორე ნახევარში, ან მეცამეტე საუკუნის პირველ ნახევარში—ჩვენ ეს აზრი მაინც მტკიცეთ უნდა მივიღოთ შემდეგი ზოგადი მოსაზრებისა გამო, რომელიც დამყარებულია სოფლიო ლიტერატურის ისტორიის შესწავლაზე.

შოთას, უეჭველათ, უნდა ეცხოვრა და ემოღვაწეა იმ დროს, როდესაც ქართველ ერში გავრცელებული იყო მწიგნობრობა. ამ მწიგნობრობას მკითხველთა საკმაოთ ფართო წრე ყავდა და, ამავე დროს, ამ ხელობის პირთ საკმაო პატივისცემა ქონდათ დამსახურებული, საზოგადოების მხრით. სხვანაირათ და სხვა პირობებში, ყოვლათ წარმოუდგენელია შოთას ნაწარმოების წარმოშობა. შოთას დრო და მოცულება უნდა ქონოდა, რომ დიდი პოემა დაეწერა. იგი ხანგრძლივ უნდა გავარჯიშებულიყო ქართული ენის მკაფიოთ გამოთქმასა და გამოქანდაებაში. სხვაგვარათ ჩვენთვის აუხსნელია და მიუწვდომელიც შოთას ენის სინარჩარე, სიმარტვე და სახეებისა და მოქმედების მკაფიოთ, მკვეთრად გამოქანდაკება. შოთას ენა მუსიკობს. ასეთი ენის შეთვისებას-კი ხანგრძლივი ვარჯიშობა ქირდება. გარდა ამისა, ასეთი შრომას რომ თავი მიცე, საჭიროა, რომ ამ ენას ფასი ქონდეს, გასავალი და მოწონება. ეს გარემოებები თავისთავად გულისხმობს და მეორე გზით გვიდასტურებს იმ აზრს, რომ შოთას ისეთ დროს უნდა ეცხოვრა, როცა ქართული ერი შეგნებული იყო და მწიგნობრობის ძალზე გემო გახსნილი, ქართული ენა-კი გაფაქიზებული და პატივ აუყრელი იყო. ამიტომც ცხა-

დათ და ბეჯითად უნდა ის აზრი მივიღოთ, რომ შოთა, უეჭველათ, იცხოვრებდა დიდი თამარის დროს, რათგან სწორეთ ამ დროს ქართულმა ენამ უაღრეს გავითარებამდი მიაღწია. ეს ენა პატივცემული და მოწონებული იყო და ამ ენაზე მეტყველობდნენ ეკლესიის ნიქიერი მქადაგებელნი, იმ დროის ცნობილი მეცნიერნი, ძალზე გავითარებული მეისტორიენი, უკვე სამეცნიერო ნიადაგზე დამყარებულნი და სახელმწიფოს დიდი მოღვაწენი. ამ დროს, ისე გავითარდა ქართველი ერი, რომ ყუთლუ-არსლანის მეთაურობით მოინდომა სახელმწიფოს წესწყობილების შეცვლა და ხელმწიფის უფლების შეზღუდვა. მოძრაობა ატყდა იმის შესახებ, რომ ხელმწიფეს უნდა შერჩენოდა უფლება მხოლოდ კანონების **სრულქმნისა**, ე. ი, ხელმწიფეს უნდა დაემტკიცებია მხოლოდ ის კანონები, რომელთა მოიწონებდა **დარბაზი**, რომლისთვის სამეფო სასახლის მახლობლათ განსაკუთრებული **კარავი** უნდა დადგმოლიყო*.) ეს ფაქტი-კი იმის მეტყველია, რომ ქართველი საზოგადოება იმ დროს გონებითა, ზნეობითა და პოლიტიკურათაც იმდენათ გავითარებულა რომ მოუსურვებია ახლანდელი ტერმინით რომ გამოვთქვათ, პარლამენტარიზმის დამყარება.

აი, სწორეთ ამ დროს გალაღებულია ქართველი ერი და სწორეთ, ამავე დროს, ექნებოდა ნიადაგი შოთას ლალ სიმღერას ნაზი სიყვარულისას და გულწრფელი მეგობრობისას. სხვა გვარათ, სხვა ნაირათ და სხვა პირობებში, ყოვლათ წარმოუდგენელია შოთას არსებობა და ცხოვრება. ამიტომ ყოვლათ ყალბი და გაუგებარია ჩვენთვის ცოდვილობა კაკაბაძისა, დაამტკიცოს, რომ შოთა მე-XIV—XV საუკუნეში ცხოვრობდაო. ამ უბადრუკ აზრს ბ-მა ნ. მარმაც თვისი დასტური მიცა და უფრო სუბუქი და სუსტი აზრიც მიაყოლა, რომ შოთა მუსულმანი იყო, რომელიც ძალზე განი-

ცთიდა სომხური ენის და კულტურის გავლენასო. ეს აზრი რომ მივიღოთ, მაშინ ჩვენ ყოვლათ უმწეონი ვიქნებით დაახლოვებით წარმოვიდგინოთ და ბეჯითად ვირწმუნოთ შოთას არსებობა ისტორიულ ფარგლებში. მაშინ „ვეფხის ტყაოსანიც“ ციდან ჩამოვარდნილი თხზულება იქნება და იგი თვისი შინაარსით, ნამდვილი ცხოვრების პროცესის გარეშე იქნება შემუშავებული. ამიტომ სრულებით განყენებული, უსულ-გულო და მშრალი ნაწარმოები იქნება. მაშინ იძულებული ვართ, მივიღოთ ყოვლათ შეუწყნარებელი და დღეს ყველგან დაგმობილი აზრი, რომ პირადობა დროისა და სივრცის გარეშე, რომ იგი არ განიცთის ეამთა ვითარების გავლენას და ისიც, როცა ამას განგება მოიპრიანებს, მაშინ ამეტყველებდა და გენიოსურ რასმე, ან დაწერს, ან იტყის, ან და მოიმოქმედებს. ჩვენი შეხედულებით-კი — და ეს არის ერთადერთი საღი და ქეშმარიტი შეხედულება, რომ ასეთ პირს მხოლოდ რომეცა ეცოდინება, ასეთ მოღვაწეს ოთურმის თამაში და ყირამალა გადასვლ-გადმოსვლა. ასეთი პირადობა-კი არაოდეს საისტორიო და საეროვნო მოღვაწე არ იქნება და არც ჩვენ მოვიცლით ხოლმე ასეთი პირადობის შესწავლისა და შეგნებისთვის...

ამ მოსაზრებათა მიხედვით, ჩვენ აღარ შეგვიძლია მივიღოთ, რომ შოთას „ვეფხის ტყაოსანი“ მე-XIV—XV საუკუნეში დაიწერა, რათგან კარგათ ვიცით, რომ 1239 წლიდან, როცა საქართველოს პირველათ მოანდგოლობა და კიზილბაშობა შემოესია, ეს მონღოლობა საქართველოში სამასი წლის განმავლობაში თარეშობდა. ამიტომ ქართველი ერის ორგანიზმი, ამ ხნის განმავლობაში, გაირყვნა და დაძაბუნდა პოლიტიკურათ, მორალურათ და ფსიხიურათაც. ამ ხანში საქართველო დანაწილდა და დაიშალა; ირგვლივ ომიანობისა და ქართველობის დღე-მუდამ აწიოკებისა და დარბევის მეტს არაფერს ქონდა ადვილი. ოჯახში ავხორცობა და მრავალ-ცოლიანობა გამეფდა. პირადობამ ფასი და ღირსება, ღირებულება დაკარგა, რათგან მდგომარეობა ყოველი ადამიანისა, რა მდგომარეობისაც არ უნდა

*) თამარისა და იმის წინამოადგილების ეპოქა ახალი მასალებითა და ახალი თვალსაზრისით ნიქიერათ გაშუქებული აქვს ბ-ნ ივ. ჯავახიშვილს ორ თხზულებაში: 1) ქართული ერის ისტორია. წიგნი მეორე. 2) ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები წინათ და ახლ. წიგნი 1.

ყოფილიყო იგი, ცვალებადი და სახიფათო შეიქნა; ჩვენს ეკლესიასა და მის მოღვაწეთ ჰატივი აეყარა. სხვა ასპარეზზე მოღვაწობაც შეუძლებელი შეიქნა. ამიტომ ფსიქიური აზროვნება ქართველი ერისა დაქუცმაცდა და გამოურკვეველობას მიეცა, რათგან აღარ იცოდა, რომელი ერთი მწამსი და ღვთაება მიეღო სახუკველ საგნათ. როცა, ამ რიგათ, დაიშალა და დანაწილდა ქართველი ხალხის ბუნება, როცა გატანა აღარ იყო, მუხანათობა და გამკემლობა-კი გამეფებული, --მითხარით გეთაყვა, როგორ ჯა შეიძლებოდა, ამ დროს, ნაზი მღერა სიყვარულისა და გულითადი შეგობრობისა, როგორ-ღა მოახერხებდა ვინმე, რომ პოეზიის ტკბილ განცათათა ზედ-მოქმედებას გაეტაცებია და თელი გულისყური ამისთვის ეთხოვებია? ეს ჩვენი გონებისთვის ყოვლათ წარმოუდგენელი საქმეა, რათგან პირადობაც და ერთი თლიანი ორგანიზმია და მას არ შეუძლია, არ განიცადოს ცხოვრების ვითარების მწარე სინამდვილის გავლენა და ზედ-მოქმედება. ამიტომ ჩვენი დასკვნაც ის არი, რომ კაკაბაძის უბადრუკი აზრი, დღეს ასე რიხიანათ და სხარტათ ბ-ნის ნ. მარის მიერ განმეორებული, ყოვლათ შეუწყნარებელია, რათგან ეს აზრი არღვევს ისტორიის კანონებს, სოციალური ცხოვრების პროცესისა და ფსიქოლოგიური არსებობის კანონებსაც. ამიტომ ეს აზრი უკუგდებულ უნდა იქნეს და აღარც განმეორებული.

შოთას „ვეფხისტყაოსანი“ ისტორიულ პირობებშია წარმოშობილი. მასში ჩაქსოვილია ჩვენი არსებობის ერთი შესანიშნავი ხანის განცათათა თვისება და ვითარება. ამიტომ იგი ჩვენთვის მშობლიურია. ამასთანვე იგი სულია ჩვენი სულისა. და ეს-კი გენიოსი ხელოვანის მიერ არი შესრულებული. ამიტომ ეს „ვეფხისტყაოსანი“ ჩვენი სათაყვანო და სანუკველი საგანია. იგი რომ სხვათა ცხოვრების მხოლოთ გალექსილი ამბავი ყოფილიყო, მაშინ „ვეფხისტყაოსანს“ ჩვენთვის იმაზე მეტი მნიშვნელობა არ ექნებოდა, რაც „ვასრამიანს“. ეს უკანასკნელი ხო შეენიერი ენით არი ნათარგმნი... გავათავე. და რომაელების მიხედვით, მეც შემიძლია ახლა ვთქვა: dixi et auiminv levaai!

მომეცი-კი ნება, ეს წერილი დაეაბოლოო ბ-ნი ივ. ჯავახიშვილის მკათაო და ცხადი სიტყვებით: „ვეფხისტყაოსანი“, რასაკვირველია, დიდებული თამარ მეფის ხანას ეკუთვნის; მხოლოთ ამ დროს შესაძლებელი იყო, რომ წარმოშობილიყო ეგოდენ მაღალის აზრებითა და გმნობებით გამჭვალული ხელოვნების უმწვერვალეს გავითარების გამომხატველი და უკვდავი პოეტური ქმნილება“ *)

დავთები შენი იაკ. ფანცხავა.

თავ. ჰიპინია მიქელასეს.

„ჩვენი შეგობრის“ (№ 249) ფურცლებზე თავ. ჰიპინია მიქელასეს ჩვენ წინაღმდეგ მოუთავსებია „საზიზღარი“*) წერილის გამო“, რომლითაც იგი ჟურნალ „ცხოვრების“ რედაქციას უცხადებს ზიზღს.

ნაახალწლებს ამ წერილმა ნამეტანი მწარეთ გავგაცინა...

ჩვენ სიამოვნებით, ვეცხლის აზარფეშებითაც ვღებულობთ თქვენ ზიზღს, რათგან გვაპტივეთ, თავადო, ეს კანდიერება, სრულებითაც არ გესმით პრესის დანიშნულება.

თქვენ ფიქრობთ, რომ „ლოუკა ბახტაძის წერილი გაბრიელ ეპისკოპოზზე ცილის წამება და შურისძიება გელათის შესახებ“ და ცალიერი, მარტო უშინაარსო ლიტონი სიტყვებით, ისეთ რასმე აკადრებთ პრესაში თქვენ თავს, რომელიც არა თუ სათნოდ აზდილ თავადიშვილს, უბრალო ტეტისაც-კი არ შეფერის...

ეს მარცხი, ალბათ, იმიტო მოგივიდათ, რომ კახანია საღვედლოებაში ფეხი გიდგათ და გსურთ ვისიმე გული მოიგოთ.

მარა, ბწყინვალეო თავადო, აქ რა შვანია ჟურნალი „ცხოვრება“, როგორც სრულ-

*) იხ. ქართველი ერის ისტორია. წიგნი მეორე. გვ 666.

**) შემდეგ ნუმერში დავსტამბავთ, ამავე საგანზე ბნ გიორგი გვაზავს მახვილგონიერათ დაწერილ სტატისას.

იათ დამოუკიდებელი, თავისუფალი ჰრესის ორგანო?

თქვენ, თუ საკუთარ სიტყვებს და პრესასაც პატივსაცემთ, ცოცხალი ფაქტებით უნდა დაგერღვიათ ბ-ნ ლუკა ბახტაძის წერილი და საქვეყნოთ გაგეკრათ იგი სამარცხვინო ბოძზე და გაანჩხლებულ, კეკელა ქალივით არ უნდა აყოლოდით მარტო თქვენი გულის კაპრიზებს და პირადულ სიმპათია-ანტიპათიებს...

ესეც რომ არ იყვეს, თქვენ არ იცით, რომ განსვენებული ეპისკოპოზი გაბრიელი, რატკბილ და კეთილ განწყობილებაში იყო განსვენებულ მამაჩემთან, ან თუ როგორ მიცნობდა და მიუყრებდა თვით მეც, ამ სტრიქონების დამწერს იგი...

მარა, განა წარმოსადგენია, ერთ წუთს ნება მივცე ჩემ თავს, ჩემი საკუთარი სიმპათია-ანტიპათიები შევიტანო ჰრესის საქმეში, რომელსაც მე ვუყუარებ, როგორც „წმიდათა-წმიდას“?

მარა ეჰ, ან-კი, რა გელაპარაკოთ.

მადლობა ღმერთს, შე გუშინდელი ბავში და პირტიტველი მწერელი“ არ გახლავართ, რომ ჩემი რეპუტაცია სანიაფ-ქაროთ გავხადო.

ბნ ლ. ბახტაძეს და დეკ. იოსებ წერეთელს, შარშანდელი წლის განმავლობაში, ჩვენი ცხოვრების ერთ უდიდეს საინტერესო ეპოქის და პირადობის შესახებ პოლემიკა ქონდათ ატეხილი და ჩვენც, რა თქმა უნდა, მიუღგომლათ ვუსტამბავდით ორივეს დასაბუთებულ სტატიებს.

დაუსაბუთებელ წერილს ვერავის დაეუ-სტამბავთ. დასაბუთებული--კი, მასთან ლიტე-რატურულათ კარგათ დალაგებული სტატია, რომ არ დაესტამბოთ, რა ნება გვაქვს...

აი, ეს თქვენი წერილი რომ ჩვენთვის მო-გერთმიათ, მართალი უნდა მოგახსენოთ, ვერ დაესტამბავდით, რათგან ყოვლათ დაუსაბუთე-ბელი, ცალიერი ლიტონი სიტყვების რაზა რუხია, რომელიც აღძრულ საგანს სრულებით შუქს ვერ ფენს და უარესათ აბნელებს. სასა-

*) „საზიზღარი“ წერილზე, როგორც უსულო საგანზე, არ ითქმის. ნუთუ ეს უბრალო რამეც არ გესმით და კალამს ხელს კიდებთ, ან არ ესმის იმ გახეთის რედაქციას რომელიც თქვენ წერილს ასეთი რიხით სტამბავს?!

ცილო ისაა, რომ „სახალხო ფურცელსაც“ იწ-ვევთ ამ კამპანიაში, თითქო „მეგობრის“ მოე-დანი არა გყოფნიდეთ ასპარეზათ, თქვე დალ-ოცივილო...

დასასრულ, ძალიან სამწუხაროა, რომ ჩვენ ერთმანეთს ვერ ვიცნობთ და, ამიტომაც... ასე აჩქარებულხართ.**)

ეურ. „ცხოვრების“ რედაქტორი
რამანოზ უნცხუა.

„პაიქარის“ საიუბილეო ნუ-მერი.

გაზ. „თანამედ. აზრი“ გულწფელი, გამა-მხნევებელი სიტყვებით ეგებება სომხური დემო-კრატული „პაიქარის“ საიუბილეო ნუმერს.

სომხის მუშათა დემოკრატის 1906—7 წლებში ქონდა თვისი საკუთარი ორგანო. გამოდიოდა რამდენიმე მუშათა გაზეთი. მარა ხანმოკლე იყო მათი არსებ-ობა. მხოლოდ ორმა გაზეთმა გაძლო ხუთ თვეზე მეტი.

*) ამ პაწია შენიშვნამ გამოიწვია ერთი უშველე-ბელი ქარიზხალი.

თელი ერთი ნუმერი „ჩვენი მეგობრისა“ (მზმ) მარტო ჩვენ ლანძღვა-გინებაზე დაწერილი. აქვე პირო-ბას ვდებ საქვეყნოთ, რომ ამიერიდან კრინტიც არ და-ვძრათ მათთან გამოსალაპარაკებლათ და უმასალოთ სულიც ამოხდებათ, მა რა მოუვთ.

აბა, რა უნდა მოთხოვოს კაცმა იმ ხალხს, რომ-მელიც აშქარაზე გამოსულა და იძახის: ჩვენ საბუთე-ბთან ხელი არა გვაქსო. მხოლოდ აღშფოთება იყოს ჩვენი პასუხიო“. აი, ნამდვილი და ტეშმარტი ფსიხო-ზები, სოფლათ რომ თეთრ ტანისამოსებში გახვეულან და თავი ანგელოზებათ წარმოუდგენიათ.

ეს ვაებატონები შეთაურ სტატიებს აწერიებენ ისეთ ვინმეს, რომელსაც ქართული სალიტერატურო წერისა ინჩიც არ გაეგება, მაგ. „უნდა ვაღვიაროთ, რომ“ და სხ.

სულმნათმა აკაკიმ და იაკ. გოგებაშვილმა კინა-ლამ ერთი წელიწადი მოანდომეს იმის მტკიცებას, რომ ვაღვიარებ ქართული არ არი და მოდი და ამათ უკითხ-ზე კიდევ ახლა, ხელმეორეთ ლექციები...

არა. ასეთი ხალხი, მიუძილებლათ, პასუხის ვა-რეზე უნდა გამოვაცხადოთ.

უკანასკნელი გაზეთი „შვიდი“ გამოვიდა 1607 წელს და მით შეწყდა სომხურ მუშათა გაზეთის, მაჯისტემა, მას შემდეგ, თელი 8 წლის განმავლობაში სომხის მუშათა კლასს საკუთარი დროგამოშვებითი გონებები საზღო მოისპო. ეს იკვებებოდა მოწინააღმდეგეთა ნაპიონალისტური გაზეთებით. შხამათ წვდებოდა მუშათა კლასს მათი აზრები.

შარშან სომხის მუშათა დემოკრატიამ გადალახა მრავალი ღაბრკალეობა და, გამოსა თვისი ორგანო „პაიქარი“. ეს ბედნიერ და სასიხარულო მოვლინებათ უნდა ჩაითვალოს. სასიხარულოა უფრო ის, რომ გაზეთი თელი წლის განმავლობაში განუწყვეტლათ გამოდის. ფართე მუშათა მასას თანდათან იკრებს თავის გარშემო. დღიდან მის არსებობისა, შესრულდა სრული წელიწადი. გამოცემის მეორე წლის პირველი ნუმერი ამ დღესასწაულს ეხება. მრავალი სარედაქციო წერილები, მისალოლი დეპეშები, თუ წერილები აღნიშნვენ გაზეთის არსებობის დიდ მნიშვნელობას, სომხის მუშათა კლასისთვის. მხანაგ მეგობართა გული აღსავსეა სიხარულით... აღსავსე უფრო მით, რომ მრავალი თანაგძნობი ამხანაგები ესაღმებთან გაზეთს, ზურგს უმაგრებენ მას. წერილებთან ერთად, ნივთიერთაც უთილობენ ორგანოს მოლონიერებას. ერთი კვირის განმავლობაში 200 მანათზე მეტი შემოწირულება შემოვიდა გაზეთის ფონდის გასაძლიერებლათ. მილოცვები და დახმარება მოდის გაზეთს კავკასიის დემოკრატიისგან, განურჩევლათ ეროვნებისა. ეს აღვილი გასაგებიაა. გაზეთი ისავე არა მარტო რომელიმე ჭანსაზღვრულ ეროვნებას, არამედ ის მოსარჩლეა ყველა ჩაგრულთა, ისავე ყველას ინტერესს. არა ერთხელ გამოუთქვამს თვისი აზრი „პაიქარს, თავის ფურცლებზე. „პაიქარი“ როდია სომხური გაზეთი ჩვეულებრივი მნიშვნელობით სომხურ ენაზე. მუშათა გაზეთი რომელიც ყველა ჩაგრულ ეროვნებათა ინტერესის დამცველია, ემსახურება იმავე მიზანს, რასაც სხვა ვნაგ გამომავალი მუშათა გაზეთები.

„პაიქარის“ თვისი საიუბილეო ნუმერში კვლავ ხანგასმიხა ანიშნავს თვისი საერთაშორისო ხასიათს. სომხის მუშათა კლასს და სომხის დემოკრატიას კვლავ მოაგონებს, რომ მათი მდგომარეობა მჭიდროთ გადაჯაჭვულია რუსეთის დემოკრატიის ბედთან, ამისთვის გაზეთი მოუწოდებს მათ. დაგმონ ვიწრო ეროვნული ჩარხო, ჩამოშორდენ ერთხელ და სამუდამოთ სომხის ბურჟუაზულ ნაციონალისტებს და გაუწოდონ ზელი სრულიათ რუსეთის მუშათა დემოკრატიას.

„ფაიქარის“ იმავე ნუმერში ანიშნისწულია ის პირობები, ისტორია, რომლის ფარგლებში „პაიქარს“ მოუხნდა გამოხვლა. ის გამოვიდა დიდი გნერჯიული მუშათა მუშების შემდეგ, მასში მიიღეს მონაწილეობა არა მარტო სომხებმა, არამედ ერთი მხურვალე მონაწილეთაგანი ქართველი მუშათა ჯგუფიც იყო, ის ახლო მონაწილე

იყო ამ საქმისა. ნივთიერი დახმარება გაზეთს „პაიქარს“ აღმოუჩინეს არა მარტო სომხის მუშებმა, არამედ კავკასიის სხვა ეროვნებათა მუშებმაც. უმთავრესათ, ქართველმა მუშებმა გამოიჩინეს დიდი ნივთიერი თანაგძნობა ჩვენი გაზეთისადმიო, — ამბობს „პაიქარი“ თავის საიუბილეო ნუმერში. გაზეთის ფონდისთვის შემოწირველთა სიაში თქვენ ნახავთ ქართველ მუშათა სახელსა და გვარებს, თათრისას, რუსისას, ლატიშებისას, ოსისას, ებრაელისას, ლეკისას დასხვათა გვარებს. ხაგხელში „პაიქარმა“ მიიღო ბაქოს ნობელის ქარხნის მუშებიდან შემოწირულება 17 მ. კაბეიკებით. შემომწირველთა სიაში სომხები მხოლოთ მეთედი იყვენ, დანარჩენები კი ზემო ჩამოთვლილ ეროვნებათა მუშები იყვენ.

გაზეთი სიხარულით ანიშნავს ამ გარემოებას და დიდ მადლობას უძღენის კავკასიის დემოკრატიას, უმთავრესათ კი თავის მეგობარ ქართველ მუშათა დემოკრატიას. თვითგგანებულ და ასეთი თანაგძნობის დემოკრატიას, ნათქვამია ერთ წერილში, აღვილათ შეუძლია, გადალახოს ყოველი დაბრკალეობა და სულ მალე გაახორციელოს თვისი დიადი იდეალი და მიადწიოს თავის ძვირფას მიზანსო.

რკინის გზით.

სწორეთ შობის მარხვა ახალი დამდგარი იყო, როდესაც თფილისიდან გამოვემგზავრე გამოვემგზავრე, მარა ამ მეზავრობაზე ძნელი და შემაწუნებელი ჯერ მე ბევრი არა შემხვედრია-რა. მიზეზი ამ სიძნელისა და შეწუნებისა, რასაკვირველია. გზის სიშრე არ ყოფილა, ამის მიზეზი იყო და დღესაც არი. ჩვენში ყოველგვარი მოგზაურობის აუტანლობის გამომწვევი სულ სხვა რამ და ამ სხვა რამეს ყველანი, თუ ჩემზე უკეთ არა, ნაკლებ მაინც არ იცნობენ.

ყველაზე პირველ ჩემთვის, რასაკვირველია, სამეზავრო ბილეთის აღება შეიქნა საძნელო. ბილეთის აღების მოლოდინში-კი ყოველ წამს მოსალოდნელი იყო, რომელიმე ჯიბის რანდის იერში (თუმცა უნაყოფო-კი). დიდი ტანჯვა წვალებით ბილეთი შევიძინე. მარა ვაგონში აღვილი არ აღმოჩნდა და ამისთვის ხაშურამდი უადგილოთ, ფეხზე აწურული ვაგონის გვერდით პატარა მოაჯირზე ვიდექი. მხოლოთ ხაშურში

მოვახერხე ვაგონში დაბინავება და ისიც ნაცნობი კანდუხტორის წყალობით.

მივიხედ-მოვიხედე და თელი ვაგონი მხოლოდ ქუთათურებით იყო სავსე, რაც ჩემთვის, რასაკვირველია, მეტათ სასიამოვნო შეიქნა. ვინ გინდა, რომ აქ არ იყო. ესენიც ჩემებ ჩვენი დედა ქალქიდან თავიანთ მშობლიურ ქალაქ ქუთაისში ბრუნდებოდნენ. აქ იყვენ: ცნობილი ვაქარი, ცნობილი მით, რომ ჩვენი ქალაქის თვითმართველობის გაფთხილებაზე, ერთი აქაური გიზეთის საშვალეებით, ამცნო ქუთაისის პატრიცემულ საზოგადოებას, რომ ის სრულებით არარი მიმდევარი სპეკულიანტობისა, და მას მოგება ვაქრობაში სულაც არ ინტერესებს, რაშიაც შეუძლია დარწმუნდეს თითოეული მსურველი მის მაღაზიაში შიბძანებით და რაიმე საქონლის ყიდვით. რომ ქალაქის თვით-მართველობის მხრით, ძლიერ დიდ გაუფთხილებლობაა უნდა ჩაითვალოს მოწოდებით ყველა ვაქრებისადმი ერთგვარათ მიმართვა და მათი ერთმანეთისგან განურჩევლობა. ცნობილია ეს ვაქარი მითაც, რომ ის ოლქის სასამართლოსგან უკვე ნაცნობია კოტრათ, სხვა და სხვა ფირმების გაცხადების გამო და დღეს ვაქრობას თავის თანამეცხედრის სახელზე აწარმოებს.

იყვენ აქ ქუთაისელი ვეჭილეებიც; რომელთაგან ერთი შესანიშნავია მხოლოდ მით, რომ სიყრმიდანვე თანამოზიარის ყოლის არი ჩვეული თავის ოჯახში, მეორე-კი არაფრით შესანიშნავი და ცნობილი არ არი. იყო ერთი სტუდენტი, პედაგოგი, ორიოდვე ფედერალისტი, რომელთაგან ერთი ჩასუქებული, მადიანი ახალგაზდა, სახელათ, ქაბუკი, სოციალდემოკრატებიც თავიანთი მანტია ჩამოშვებული ქუდებით და რამდენიმე ქუთათური ინტელიგენტიც.

ვაგონში, ჩემი შესვლის დროს, სტუდენტი ლაპარაკობდა. ლაპარაკობდა ის, მართლაც და ცხარეთ და გატაცებით... „მართალია, იქ ჩვენი ქართველი მოსწავლეები ბევრი არი, მარა თქვენა გგონიათ ეს ძლიერ საიმედოა ვისმესთვის? სრულიადაც არა... ქართველ მო-

სწავლეს თავისიანთან ამხანაგობა არ შეუძლია და არც აქეს მას თავისიანის გამტანობა... საამხანაგოთ ქართველ მოსწავლე ახალგაზდობას უცხო ერის მოსწავლე ახალგაზდობა ბევრათ ჯობია. ქართველი მოსწავლე თავისიან ამხანაგს არა თუ ამხანაგურ ანგარიშს არ უწყევს, პირიქით, ეხარბება, ცთილობს მის დაჩაგვრას და უკან ჩამორჩენას. გული მტკივა, ძლიერაც ვწუხვარ, როდესაც ამას ვამბობ, მარა, სამწუხაროთ, მართალი კია და ამ სიმართლის დაფარვაც, როდესაც ჩემიანში ვარ, არ შემიძლია. სულ უბრალო მაგალითს მოვიტან: მე, როგორც სემინარიელი, იურიევში ვსწავლობდი, სახელმწიფო ეგზამენების ჩაბარებას-კი პეტროგრადში შევეუდექი. ვემზადებოდი, მარა ბევრ რამ-მაბრკოლებდა და, სხვათა შორის, ერთი უმთავრესი წიგნის უქონლობა. ეს წიგნი-კი თითოეულს პეტროგრადში მოსწავლე ქართველს ქონდა. მარა, როგორა გგონიათ, მათხოვა რომელიმე ეს წიგნი და მით ხელი გამიმართა მე? სრულებითაც არა. ან-კი რათ მათხოვებდენ და რათ გამიმართავდენ ხელს, როდესაც მათი სურვილი იყო ჩემი; ეგზამენების დროს, დამარცხება.

მაშინ ერთი უცხოელი სტუდენტის რჩევით, მე გაცხადება გავაკარი უნივერსიტეტის კედელზე, რომლითაც ვაცხადებდი, ჩემთვის იმ წიგნის საჭიროებას. მეორე დღეს, ჩემი გაცხადების გვერდითვე, ვნახე ცნობა ერთი ზოლონელი მოსწავლისა, რომელიც წერდა: „იმ ამხანაგს, რომელსაც კირდება ესე და ეს წიგნი, ეთხოვ მობძანდეს ჩემთან და მიირთმევსო!“

მეც, რასაკვირველია, მივედი ცნობაში აღნიშნული მისამართით, მივიღე წიგნი, მოვემზადე და ეგზამენებიც რიგიანათ ჩავაბარე. — უშველა ღმერთმა — თქვა პედაგოგმა — მართლაც და კეთილშობლურათ მოქცეულა. — თქვენც, რასაკვირველია, მადლობას შეწირავდით ამგვარი სამსახურისთვის?! შეეიკითხა სტუდენტს.

ჩემდა სამარცხვინოთ, უნდა ვთქვა, რომ ამ ჩემი კეთილის მყოფელი პოლონელი ახალგაზდისთვის არა თუ მადლობა არ შემიწირავს, ის აღარც-კი მინახავს მას შემდეგ და არც

მისგან ნათხოვარი წიგნი დამიბრუნებია!

მაგას-კი ვერ მოვიწონებთ. მართალი უნდა მოგახსენოთ, უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლე ჩვენს ახალგაზდობას არ შეშენის ერთმანეთის გაუტანლობა. პირიქით, მათ, უცხოეთში ყოფნის დროს, უნდა მტკიცე, ძმური კავშირი ქონდეთ ერთმანეთთან, რომ მათ შესახებ გარეშეთაც კარგი აზრი და შეხედულობა იქონიონ. ჩვენი ცხოვრებაც ხო მათგან წინამძღოლობას მოვლოთ და ჩვენი მომავალი საზოგადო მოღვაწეებიც იგინი უნდა იქნენ! ამ ვაგონში, ჩვენ გარდა, გარეშე არავინ არი და ამისთვის დაუფარავათ ვიტყვი, რომ ჩვენებურ საზოგადო მოღვაწეებათ მაინც გამოდგებიან!

—როგორ?!

—როგორ და ჩვენ ქუთაისში, თუმცა საზოგადო მოღვაწეთა რიცხვი ძლიერ ცოტაა, მარა თავს მაინც საზოგადო მოღვაწეთ ყველა თელის და საზოგადო მოღვაწის სახელით მედიდურობს!

—მაგაში მეც გეთანხმებით, მართალია!— დაემოწმა ერთი იქ მყოფთაგანი..

—ღიახაც მართალია! ვინ გინდა, რომ თავის თავი ჩვენში საზოგადო მოღვაწეთ არ მოქონდეს და თავის ვითომ და მოღვაწობას საზოგადოებას არ ამადლიდეს! აბა, შებძანდით ქუთაისის რომელიმე ქართულ დაწესებულებაში, რომელსაც წმინდა ქართული ელფერი დევს.. შესვლისთანავე თქვენ შეამჩნევთ დერეფანში ერთს, ან ორს-შეიძლება მეტსაც-ვინმეებს. თქვენ, რასაკვირველია, ძლიერ კარგათ იცით, ვინ არიან, ან რანი უნდა იყვენ ამ დაწესებულებაში ეს „დერეფნის“ კაცები.. კითხვით, თუ არა რამეს, სულ ერთია, ის თქვენ მაინც „ჩვენობით“ დაგიწყებთ ლაპარაკს.. „ჩვენ სესხი, თუ არ ავიღეთ, არ გვარგია“, „ჩვენ უკვე გადავწყვიტეთ ესე და ეს საქმე“, „ჩვენ კიდევ ვგზავნით აქა და იქ კაცს“ „ჩვენი საქმე ამ ომმა კარგათ ვერ წაიყვანა“, „ჩვენ ძლიერაც წუხვართ, მარა ვერაფერი ვერ მოგვიხერხებია“ და სხვა.

განა ამ „დერეფნის“ მოხელეს თვისი თავი საზოგადო მოღვაწეთ არ მოაქვს? სა-

ზოგადო მოღვაწეთა, მაშ, რაა, როდესაც მას თელი დაწესებულებისთვის სესხის საქმეც გადასუწყვეტა, კაცსაც გზავნის, სადაც ჯერ არს და საქვეყნო საქმებისთვისაც წუხს და ზრუნავს! — ან არა და აიღეთ ამ გვარი შემთხვევა. ერთმა ვინმემ, რასაკვირველია, ჩვენმა კაცმა, ქართველმა, სულ პატარა სავაჭრო გააღო, სადაც წერა-კითხვის მასალას და სხვა ამის გვარამეებს ყიდის... ხმასაც არა გცემთ რიგიანათ, თავის თავი პირველ საზოგადო მოღვაწეთ მიანი. „მეო-წამ და უწუმ გაიძახის იგი, კულტურულ საქმეს ვაწარმოებო“ და ისე ენას არ მოატრიალებს, რომ „კულტურა“ „კულტურული საქმიანობა“ და სხვა ამ გვარი დიდ-დიდი მყვირალა ფრაზები არ დახარჯოს... იმადლება კიდევ რაღაცას, თითქო მას სავაჭრო დუქანი-კი არა, რაღაც საზოგადოების სა მოწყალოაო... რამ ქონდეს გაცემული.

უნდა მოგახსენოთ, რომ ამ მხრით ჩვენი პრესაც არ არის უღანაშაულო—თქვა ერთმა ინტილიგენტმა —ხშირათ სრულიათ დაუმსახურებლათ აზვიადებს მას, ვინც არავითარი არა თუ გაზვიადების, არამედ მცირე ყურათლების ღირსიც არ არის. ამის დასამტკიცებლათ, ერთ შემთხვევას მოგახსენებთ: ამ რამდენიმე წლის წინათ, ჩვენ ქალაქს გარეთ, დუქანში, მთვრალი მეარღნეები ერთ მოქეიფე ახალგაზდას წაეჩხუბნ და დაქრეს იგი, ეს ახალგაზდა ამ კრილობით მალეც გარდაიცვალა. ამ ყმაწვილის სიკვდილი იყო და ატყდა ერთი ქუთათური გაზეთი: თელი ორი თვის განმავლობაში მოკლული ყმაწვილის საზოგადო მოღვაწობას უამბობდა თავის მკითხველებს. ამბობდა, რომ ამ ახალ გაზდას სიკვდილს შემდეგ, არ ვინ იცის, რა ნოელის წერა-კითხვის და დრამატულ საზოგადოებებს და, საზოგადოთ, სხვა ქართულ დაწესებულებასო. იმასაც-კი წერდა, რომ ეს ყმაწვილი თელ ქუთაისში პირველი მებღავური იყო და სხვა ამ გვარი. გვიკვირდა ყველა მკითხველს, რათგან გარდაცვალებულს ბევრი ვიცნობდით. მართალია, მისი ცუდი არაფერი გაგვიგონია. მარა არც მისი საზოგადო მოღვაწობისა ვიცოდით და არც დღეს

ვიცი და „მეზღვაურობა“-კი ქუთაისში ბევრს ზღპრულ რამეთ მიგვაჩდა. გვიკვირდა, მარა მიზეზი ამ გვარი ხოტბა-დიდებისა მაშინ არ ვიცოდით და შემდეგ-კი გავიგეთ: თურმე, მეარღნეებისგან მოკლული ახალ გაზდა მკვიდრი დეიდაშვილი იყო მაქებარი გაზეთის კორექტორისა და ეს უკანასკნელი, ნათესავური გძნობით გატაცებული, გაზვიადებული ქება-დიდებით ამკობდა განსვენებულის ხსოვნას...

—რა-კი სიტყვამ მოიტანა, ერთ ამბავს მეც მოგახსენებთ თქვა არა ცნობილმა ვეჟილმა. ამ რამდენიმე თვის წინათ, ჩვენს ოლქის სასამართლოში ერთი ადამიანის საქმე ირჩეოდა. ეს ადამიანი, მართალია, დღეს ვაჭრობს, მარა, შეიძლება, ბევრი ვაჭარი იმის ზნეობაზე არ იყოს კარგი აზრის. ბრალდებაც ზნეობის მეტათ წინააღმდეგი იყო და ამისთვის, მას გარეშე ხალხის დაუსწრებლათ ამართლებდენ. სასამართლოში უკანასკნელ სიტყვას კანონი ბრალდებულს აკუთვნებს და, ამისთვის, თავმჯდომარე შეეკითხა ვაჭარს: თავის გასამართლებელს, რას იტყვიო? ბრალდებული ვაჭარი ადგა და უპასუხა:

—*Неужели вы меня не знаете господа, Судьи? Я, вѣдь кутаисскій общественный дѣятель!*

მოსამართლეებმა ერთმანეთს გაგვირვებით შეხედეს.

Въ чемъ выражается ваша общественная дѣятельность?-კითხა გაკვირვებულმა თავჯდომარემ.

—*Развѣ не знаете меня, я въ клубѣ бываю, въ карты играю, рѣчи на похоронахъ говорю.*

გააჩუმეს...

ერთი სიტყვით, სიტყვა „საზოგადო მოღვაწე“ ჩვენში რაღაც ხელსახოცათ გამხდარა და მას ყველა გამვლელ-გამომვლელი ბრალიანი და უბრალო ახოცავს, არა თუ ხელს, ფეხსაც-კი.

ბაასში ყველა დამსწრეები იღებდენ მონაწილობას და უნდა ვთქვა, ძლიერ საინტერესოც შეიქნა იგი. არ დარჩენილა თითქმის არც

ერთი საკითხი ქუთაისის ცხოვრებიდან, რომ არ ეხსენებიათ და ასე, თუ ისე, კრიტიკულათ არ შეხებოდენ მას. ბაასი იმდენათ საგულისხმო იყო, რომ მგზავრობა შეუმჩნეველი გახდა და, როდესაც ფანჯარიდან გავიხედე, ვნახე, რომ სვირის სადგურს უკვე ვუახლოვდებოდით..

—ბატონებო, თუ იცი, რითი გათავდა ჩვენი ლუბერნიის მარშლის და თავადი მიქელაძის შორის ამტყდარი უთანხმოება?—

იკითხა ერთმა.

—რომელი უთანხმოება?

—აი, თავადი დანიჯარაძე რომ წინადადებას აძლევდა თავადს ს. მიქელაძეს, ბანკის კომიტეტში მუშაობას თავი დაანებებ, თორე მე ჩემსას ვიზამ, რათგან შენ არა გაქვს ნება ერთდროულათ ოლქის სასამართლოს და ბანკის კომიტეტის წევრათ იყო!

—რითაც დაიწყო, იმით გათავდა, ესე იგი, არაფრით, ან რითი უნდა გათავებულოყო მამებლარობა და ჯაშუშობა—თქვა ფედერალისტმა ქაბუკმა—თქვენ ჩვენ გაზეთს ხო კითხულობდით მაშინ? თუ კითხულობდით, მაგ ჯაშუშური ფანდების შესახებ ჩვენ გაზეთში ბევრ რამეს წაიკითხავდით... გასაკუთრებით, აშფოთებული იყო და დღესაც არი ჩვენი იმ. ამ.—ი.

—რითია აშფოთებული, ან რა აშფოთებს იმ თქვენს იმ. ამ.—ს?— შეეკითხა სოციალ-დემოკრატი, რომელიც აქამდი დუმდა.

—როგორ, რითი? განა ასაშფოთებელი არ არი, როდესაც ადამიანის მოქმედებაში მამებლარობას და ჯაშუშობას ხედავ?

—მამებლრობა, რასაკვირველია, საზიზლარი მოქმედებაა. მარა თქვენი ამხანავი რათ იწუხებს თავს?

—როგორ?

—როგორ და ამ გვარი მოქმედება მისთვის უცნობი არ არიო!

—არ მესმის!

—თქვენი ამხანავები არ იყო, რომ სახ. დუმაში, არჩევნების დროს, სადაც ჯერ იყო, ჩვენი სადებუტატო კაცი დაამბზღეს; მაგას

ცენზი არა აქვსო, რათვან აქ თავის სახელზე ბინა ნაქირავები არ ქონია და ამისთვის არჩევნებში მონაწილობას ვერ მიღებსო.

—მე ეგ ამბავი არ ვიცი. მარა, თუ რო მგზავსი რამ მოხდა და, ეგ სულ სხვა რაიმეთი იქნებოდა გამოწვეული!

—რითაც უნდა იყოს გამოწვეული, ამ მოქმედების სახელი მამებლობა და ჯაშუშობაა.!

—თქვენი სადემუტატო კაცის შესახებ, ეგ ზომა იქნებოდა მიღებული მხოლოდ მისთვის, რო ყველა დარწმუნებულია, დუმაში ის ჩვენი ინტერესების დამცველათ არ გამოვიდოდა და ჩვენთვის-კი საჭიროა იქ ჩვენი ერის წარმომადგენელი გვყავდეს და არა...

—მაგ შემთხვევაში შეგიძლიათ სულ სხვა, უფრო კეთილ შობილი გზით დაამარცხოთ არა სასურველი კანდიდატი, მაგალითად ხმა არ მიცეთ, ხმის მიუცემლობაში სხვა მუხბრები იზოვნოთ და სხვა და არა მამებლობით და ჯაშუშობით!

—ისინი, ბატონებო, უჩვენოთაც გამორიგდებიან ერთმანეთში, მე-კი ერთ ახალ ამბავს ვაგაგებიებთ, იმისანა ამბავს, რომელიც, შეიძლება, არც ერთმა არ იცოდეთ! თქვა ერთმა ინტელიგენტმა.

-რა არი, გვიამბეთ! შეძახეს მას!

—თქვენ ხომ არ იცით-არც მე მცოდნია აქამდე ქუთაისში ჩვენ, თურმე, რას-ნი გვყავს, რას-ნი!

—იქნება, მართლა?!

როგორ არა. მე თფილისში, ახლა კარგა ხანს დავრჩი და ერთი ჩემი მეგობარი, რომელსაც უადგილო ხუმრობა არ უყვარს. მწერდა, რო... მარა ჯობია თვით წერილის ის ადგილი წაგიკითხოთ, რომელიც ამ საგანს შეეხება (ჯიბიდან ამოიღო წერილი და დაიწყო კითხვა). „აქაურ ამბავს, თუ იკითხავ, მშვიდობაა და შენი წასვლის შემდეგ, დიდი არაფერი ცვლილება მომხდარა. მხოლოდ

ქუთაისში აღმოჩნდა რას-ნი იმ გვარივე, რო-გორც პეტროგრადში არი*), იმ გარჩევით მხოლოდ, რო პეტროგრადელი რას-ნი მამაკაცია, ხოლო ქუთაისელი-დედაკაცი და, მამასადამე რას-ინა და არა რას-ინი. ამ უკანასკნელს, თურმე, დიდი გავლენა აქვს ქუთათურ სფეროებში და უმისათ ქუთათურ ცხოვრებაში არც ერთი თვალს ჩანო მოედინებაარ მოხდება.

რას—ნას ქუთაისში „სუფევა“, ჩვენ სულ უბრალო შემთხვევით გავიკეთო... უნდა გენახა, ახლახან, რა ამბავი იყო მის დღეობაზე: ეტლი ეტლზე უსწრებდა, ყველა იჩქარიდა მიელოცა მისთვის და მისგან ლოცვა-კურთხევა და ხელის ამბორის ნება მიელო...

ჩამოხვალ, აგერდა ყველაფერსაც გაიგებ*, ამ ამბავმა დამსრწეებში საზოგადო კითხვა-განგაში გამოიწვია...

—Станція Ріонь! Через два на Кургансь! შემოგვძახა კონტუტორმა და ჩვენ ყველანი რიონის სადგურზე გადასასვლელათ ავიშალეთ...

თავ თეთრი.

კატარა წერილები.

XVII

ეს ერთი ხანია, ეურნალ „ცხოვრებამ“ ბ-ნ ლუკა ბახტაძის პირით, ნეტარ ხსენებული გაბრიელ ეპისკოპოზის მოღვაწეობის შესახებ გაილაშქრა. ბ-ნ ლუკა ბახტაძის გალაშქრება ეპისკოპოზის პიროვნების შესახებ გასაკვრალიც არ არი. ძმათა ბახტაძეების ვულისწყრომა გაბრიელ ეპისკოპოზისადმი პირად უსიამოვნებაზეა აშენებული.

ჯერ გაცივებულიც არ იყო ჩვენი იოანე

*) ეს წერილი ნოემბრის დამლევს არი დაწერილი.

ოქროპირის გვაში და სამარეში არ იყო ჩაშვებული, რომ ილია ხონელმა, ძმამ დღეინდელი ლუკა ბახტაძისამ, ერთი ალიაქოთი ატეხა ჩვენი ღვდელმთავრის სახელის დასაჩდილავათ. მაშინდელმა „ივერიაში“, სულმნათი ილია ჭავჭავაძის სახელით, გააქარწყლა ილია ხონელის ბრალდებანი უნეტარესი ადამიანის შესახებ წამოყენებული. ბოლოს, ილია ხონელმა თავი იმით იმართლა, რომ ჩემ მიერ ანიშნული ცუდი მხარეები გაბრიელ ეპისკოპოზისა, შემდეგში დავიწყებამს მიეცემა და კარგი მხარეები საშვილიშვილოთ, მარადის სახსოვრათ, დაგვრჩებაო. ასეთმა მისმა გაცხადებამ, ცოტა არ იყოს, ქართველი საზოგადოება დააშოშმინა და დააწყენარა.

ამ ამბავის შემდეგ, გავიდა აგერ ოც წელიწადზე მეტი და ახლა მეორე ძმა გამოუდგა გაბრიელ ეპისკოპოზის ლანძღვა-გინებას*.) თუ პირადობა არ ალაპარაკებდა და ახლაც არ ალაპარაკებს ძმათა ბახტაძეებს, რამ გადააშენა ჩვენი საყვარელი და კეკელუცი სამშობლო საქართველო ისე, რომ ბ.ბ. ბახტაძეებს გარდა, სახელდობ, იმ ბახტაძეებს გარდა, რომლებიც შეიღებები არიან განსვენებული ღვდლის, ლუკა ბახტაძისა და რომელსაც არა კეთილ განწყობილება ქონდა ნეტრსხენებულ გაბრიელ ეპისკოპოზთან, სხვა ვინმე არ გამოჩნდა და მისი ღვაწლი მწერლობაში არ გააკრიტიკა? გარდა ამისა, ასანიშნავია ის გარემოებაც, რომ გაბრიელ ეპისკოპოზის სიცოცხლეში სად იყვნენ ძმანი ბახტაძეები, რომ კრინტი არ დაძრეს მისი მოღვაწობის შესახებ*.)

*ბ-ნ ლ. ბახტაძის წერილში გაბრიელ ეპისკოპოზის „ლანძღვა-გინება“ არ არი. ეს ცილის წამებაა. ლანძღვა გინებას რედაქცია არა თუ ჩვენ გოლითა გაბრიელზე, უბრალო ვინმე, პაწია კაცუნაზეც არ დასტაბავს, არადროს. განა ამას კიდევლა-დამტკიცება უნდა, ადამიანებო?!

რედ.

*)აქ პატივცემული ავტორი თავის თავს ეწინააღმდეგება. აგერ, ერთი წინადადების ზევით არა წერს: „ილია ხონელმა, გაბრიელ ეპისკოპოზი სამარეშიაც არ იყო ჩაშვებული, მისი სახელი მიწასთან გაასწორაო“. გაბრიელის სიცოცხლეშიაც წერდა ილია ხონელი სტატიებს გაბრიელ ეპისკოპოზზე. ეს ყველამ იცის და თქვენ-კი დაგვიწყებიათ.

რედ.

დღეინდელი ლუკა ბახტაძე მაშინ თუ ქაბუკი იყო და ამისთვის ძალა და ღონე არ შეწევდა, ჩვენი ნიჭიერი პუბლიცისტი, განსვენებული ილია ხონელი ხო სრულ გონებრივ და ფიზიკურ ძალ-ღონეზე იდგა. რატო მან არ აღნიშნა? თავის შესანიშნავ სიტყვაში, გაბრიელ ეპისკოპოზის გარდაცვალების გამო, რომელზეც ზევით მოგახსენებდით, ყოველივე ბრალდებაზე მიუთითა ილია ხონელმა ქართველ საზოგადოებას. მარა, რათ არ მოიხსენია ის უმთავრესი ბრალდება, რომელსაც ახლა იხსენიებს ბ-ნ ლუკა ბახტაძე, უნცროსი ძმა ენა მახვილიანი ილია ხონელისა?

ვიფიქროთ, იმას ეს ბრალდება გამოეპარა? არა და არა. იმისანა ნიჭიერი ადამიანი, როგორც ილია ხონელი იყო, ამ შეცდომას არ ჩაიდენდა, რომ ამ ფაქტისთვის საფუძლიანი საბუთები ქონებოდა; პირიქით, სანთლითაც კი დაუწყებდა ამგვარ ფაქტებს ძებნას, რომ სადმე გულეობდა, ისე აღესილი იყო გაბრიელ ეპისკოპოზზე.

ნეტარ ხსენებულ გაბრიელ ეპისკოპოზს მოკინკლავე ღვდლები არ უყვარდა და განსვენებული ღვდელი ლუკა ბახტაძე-კი ამ გვარ ღვდლებს ეკუთვნოდა (გავიხსენოთ მისი დამოკიდებულება ღვდელ პეტრე ბახტაძესთან.)

ჩვენი ღვდელმთავრის ცხოვრებაზე მხოლოდ ერთად ერთი ის ითქმის, რომ ურჩი და ჯიუტი ღვდლების დასჯა, ცოტა არ იყოს, სასტიკათ იცოდა... სხვანაირათ ვერც-კი მოიქცეოდა. ზხემ ძალას ადვილათ ვერ მოხეშავ კულტურული საშვალეებით. ასეთ დასჯილთა შორის, ერთი პირთავანი იყო ღვდელი ლუკა ბახტაძე-მამა ცნობილი ბახტაძეებისა.

ახლა თვისი საზოგადოებამ გასაჯოს, თუ რა ალაპარაკებდა ჩვენ ნიჭიერ პუბლიცისტი ილია ხონელს და, ან რა ალაპარაკებს ახლა ბ-ნ ლუკა ბახტაძეს.

ქუთათელი.

რედაქტორ-გამომცემელი **რომანოზ უანცხავა**

III №. მიიღება ხელის მოწერა 1917 წელს III №.

სალიტერატურო, საპოლიტიკო და სამეცნიერო ჟურნალ

„სსოპრება“-ზე“

რომელიც გამოვა ორ კვირაში ერთხელ, რომანოზ სპ. ფანცხავას რედაქტორობით. ჟურნალში ითანამშრომლებენ საუკეთესო სალიტერატურო ძალები (წელიწადი მესამე) წლიურათ ჟურნალი ელირება 6 მ. ნახევარი წლით 3 მ., სამი თვით 1 მ. და 75 კ. თვიურათ 65 კ. წლიურ ხელის მომწერლებს ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაუ შეუძლიათ. ხელის მოწერის დროს 3 მ., პირველ აპრილს 2 მ. და პირველ ივნისს 1 მ. ქუთაისში ხელის მოწერა და ნუმრებარს ყიდვა შეიძლება მხოლოდ რედაქციის კანტორაში (სტამბა „ძმობა“), ისილორე კვიცარიძესთან. თფილისში, კავკასიის საფერწლო სკოლის მოწაფესთან, ტერენტი გ—ძე სვანიძესთან. მიხაილოვში—იოსებ ყაჭვიშვილთან, ქიათურაში—პლატონ პ—ძე კილასონიასთან, სამტრედიაში—მინა კობალეიშვილთან, ფოთში ნესტორ დოლიძესთან, ბათუმში—„განთიადის“ კანტორაში, ლანჩხუთში—ლუკა გ—ძე ურუშაძესთან, და ბაქოში—სანდრო ქურიძესთან, ქალაქის თვითმართველობაში.

ფული უნდა გამოიგზავნოს ამ მისამართით: Кутань. Роману Спиридоновичу Панцхава.

დაიწყო ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

„სამეუბლო“-ზე“ 1917 წლისთვის.

(წელიწადი მესამე)

გაზეთის ფასი: ერთი წლით 15 მან., ნახ. წლით 8 მ. ერთი თვით 1 მ. 50 კ. ცალკე ნუმერი 7 კ. თვიური ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ თვის პირველიდან. წლიურ ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ შემოიტანონ ნაწილ-ნაწილათაუ: პირველათ 5 მან. ხელის მოწერისთანვე. მეორეთ 5 მან. მარტის გასულს და 5 მანათიუ ივნისის გასულს. რედაქციის კანტორა ღიაა დილის 8 საათიდან სამ საათამდი და ნაშვადღევის 5 საათიდან 8 საათამდი. რედაქტორის ნახვა შეიძლება დილის 8 საათიდან 11 საათამდი. რედაქტორი—ი. თ. ცინცაძე. გამომცემელი ამხანაგობა „სამშობლო“. მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ. სახლი მიქელაძისა.

დებეშებისთვის: ქუთაისი, „სამშობლო“.

მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისთვის

ყოველ დღიურ საპოლიტიკო საეკონომიო და სალიტერატურო გაზეთ,

„საქართველო“-ზე“

ყოველკვირულ ნახატებიან დამატებით.

გაზეთი არის ეროვნულ დემოკრატიულ მიმართულების. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებას: ვაჭრობა-მრეწველობის, სასოფლო მრეწველობის, სასოფლო მეურნეობის წარმატებას, საპროფესიო და სატექნიკო ცოდნათა გავრცელებას. გაზეთს საკუთარი კორესპონდენტები ყავს საქართველოს მნიშვნელოვან დამა-ქ ლაქებსა და სოფლებში და აგრეთვე პეტროგრადსა და მოსკოვში.

გაზეთის ფასი: თელი წლით—15 მ. ნახევარი წლით 9 მ. სამი თვით 5 მ. ერთი თვით ქალაქში 1 მ, 80 კ. ქალაქ გარეთიდან გაზეთის გაწერა ერთი თვით, ფოსტის საშვალეებით, არ მიიღება. არა წლიურ ხელის მომწერათათვის გაზეთი თვის პირველ რიცხვიდან იქნება ნა-ნგარიშგვი. წლიური ხელის მომწერათათვის ფასის შემოიტანა ნაწილ-ნაწილათაუ შეიძლება. შემდეგი წესით: ხელის მოწერის დროს 7 მან., პირველ მარტისთვის 5 მან. და პირველ ივნისისთვის 3 მან. ვისაც სურს გაზეთის გაწერა წლიურათ, ეს უნდა მოიხსენიოს პირველ-სავე მოწერის დროს. რედაქციის მისამართი: თფილისი, მოსკოვის ქ. № 4. კანტორა ღიაა: ლითიდ 9—3 ს.—სალამ. 5—7-მდი. რედაქტორი: სანდრო შანშიაშვილი. გამომც. ამხ.

„საქართველო“.